
In order to obtain convenient dependency, we approximately take  $K_m = K$ , and also introduce in (16) the averaged, frequently used value = 4.0 and  $n_m = 1,25$ .

Then, when soil samples of undisturbed addition are selected in the model, selected in field conditions, non-flushing bottom velocity for environmental conditions, depending on the model values, can be set:

$$V_\Delta = 0.42V_{\Delta M} \quad (17)$$

Considering the commonly used relationship between eroding and non-blurring permissible flow rates:

$$V_{\Delta p} = 0.41V_{add.} \quad (18)$$

Sieve diameter, mm	6-4	4-2	3-1	1,5-0,5	1-0,5	0,6-04
Average particle diameter, mm	5	3	2	1	0,75	0,5

### 3. CONCLUSION

The results of such experiments selected in field conditions, when compared with the data of field observations, show good convergence.

### REFERENCES

1. Assessing, Measuring and Modelling Erosion in CalanchiAreas: a Review. N. A. Caraballo-Arias, Vito Ferro. Journal of Agricultural Engineering, Vol 47, No 4. 2016.
2. W.S. Merritt a, R.A. Letcher, A.J. Jakeman. A Review of Erosion and SedimentTransport models. Environmental Modelling & Software 18. 2003, pp.761–799
3. A. Pandeya, S. K.Himanshu, S.K.Mishraa, V. P.Singhb. Physically Based soil Erosion and Sediment Yield ModelsRevisited. CATENA Volume 147, 2016, pp. 595-620
4. Modelling the Effects of Vegetation on Stability of Slopes. Y. H. Chok, W. S. Kaggwa, M. B. Jaksa, D. V. Griffiths. Conference: 9th Australia New Zealand Conference on Geomechanics, Vol. 1. 2004. pp. 391–397.

შაგ 627.521.1

## მდ. რიონის წყალგამყოფი ჰიდროპარანძის ქვედა პირზე ნგრევის მიზანები და სარგაბილითაციო ღონისძიებები

შ. გაგოშიძე, ი. ქადარია, ივ. სალინაძე, მ. კოდუა,  
ი. მოსავლიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

(აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი, 4600, თამარ მეფის 60, ქ. ქუთაისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომი ეძღვნება ქალაქ ფოთთან, მდინარე რიონზე აგებული წყალგამყოფი ჰიდროპარანძის კაშხლის ქვედა ბიეფის ნგრევის მიზეზების გამოკვლევას. ნაჩვენებია, რომ ეს ნგრევები განაპირობა არა მშენებლობის ხარისხმა, არამედ ჰიდროპარანძის დაპროექტებისას სხვადასხვა პერიოდში ქვედა ბიეფის რეაბილიტაციის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა ჰიდრავლიკური გაანგარიშებებისას დაშვებულმა უზუსტობებმა. დაბალზღუდებლიანი კაშხლების ბიეფების შეუდლების ჭავლურ თეორიაზე დაყრდნობით, ნაშრომში შემოთავაზებულია მდ. რიონის წყალგამყოფი კაშხლის დანგრეული ქვედა ბიეფის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის გზა, რომელიც კაპიტალურად დაიცავს კაშხლის ქვედა ბიეფს გამორეცხვებისა და ნგრევებისგან.

**საკვანძო სიტყვები:** ქვედა ბიეფი, წყალგამყოფი ჰიდროპარანძი, ტალღა, რეაბილიტაცია.

### 1. შესავალი

ნებისმიერი სამდინარო ჰიდროტექნიკური ნაგებობების ხანგრძლივ და საიმედო ექსპლუატაციას, გარდა მისი კონსტრუქციული გადაწყვეტისა და მშენებლობის ხარისხისა, ძალზე ხშირად განსაზღვრავს დაპროექტების სტადიაზე კალაპოტური პროცესების სწორი პროგნოზირება. ეს საკითხი, მიუხედავად მრავალი თეორიული მცდელობისა, ამჟამად ფიზიკური მოდელირების საფუძველზე ძირითადად წყდება

ჰიდროგლიკურ ლაბორატორიებში. მაგრამ ხშირად შეუძლებელია მოდელირების კრიტერიუმების სრული დაცვა და კალაპოტის გრუნტის სამოდელე მასალის იმგვარი შერჩევა, რომ მან უზრუნველყოს წარეცხვის პროცესების ადეკვატურობა ნატურასა და ჰიდროგლიკურ ლაბორატორიებში. შედეგად, ნაგებობის ექსპლუატაციის პერიოდში შეიძლება განვითარდეს დეფორმაციები და გამოვიდეს იგი მწყობრიდან.

ამ მიზეზით საქართველოში მრავალი ჰიდროკვანძის ქვედა ბიეფი მნიშვნელოვნადაა დაზიანებული და საჭიროებს რეაბილიტაციას, მათ შორის აღსანიშნავია მდინარე რიონის შესართავ აკვატორიებში არსებული წარეცხვები და მათი აღმოფხვრის მიზნით წარუმატებლად განხორციელებული საინჟინრო ღონისძიებები.

## 2. მიზანთაღი ნაწილი


XX საუკუნის 50-იან წლებში ქალაქ ფოთიდან მე-7 კილომეტრზე აშენდა წყალგამყოფი ჰიდროკვანძი, რომელმაც მდ. რიონი დაუსახლებელი ტერიტორიების გავლით მიმართა ფოთის პორტის ჩრდილოეთით, ხოლო ქალაქის არხით ტარდებოდა მხოლოდ 400 მ3/წმ-მდე ხარჯი, რომელსაც უნდა უზრუნველებელი ნატანის ადრე არსებული ბალანსის შენარჩუნება. ამ საკმაოდ ძვირადღირებული პროექტის განხორციელებით, მართალია, ქალაქის ტერიტორია გადაურჩა დატბორვებს, მაგრამ სამაგიეროდ ვერ შენარჩუნდა სანაპირო ზოლის სტაბილურობა და ზღვის ქვეშ მოექცა საშუალოდ 2 კმ სიგანის სანაპირო ზოლი. ამასთან, დაისილა ჩრდილოეთით მდ. რიონის ახალი შესართავი უბანი, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ფოთის ნავსადგურის შესასვლელი არხის ქმედითუნარიანობაზე და, აქედან გამომდინარე, გამოიწვია პორტის საექსპლუატაციო ხარჯების ზრდა.

ფოთის სანაპირო ზოლში, ნავსადგურიდან მდ. რიონის შესართავამდე, მოსახლეობა იძულებული იყო გადასახლებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ 80-იან წლებში ნაპირის წარეცხვის პროცესების შესაჩერებლად სანაპირო ზოლის მთლიან პერიმეტრზე ჩაიყარა ქვის უზარმაზარი ლოდები. ისინი მაღლე ჩაიძირა წყლით გაჯერებულ წვრილ ქვიშაში და ზღვამ მაინც განაგრძო ფოთის ნაპირის წარეცხვა. ამჟამად ფოთს ფაქტობრივად არა აქვს პლაჟის ვიწრო ზოლიც კი და კვლავ გრძელდება ზღვის შემოტევა.



**ნახ. 1. წყალგამყოფი პიდროკვანძის რაბ-რეგულატორის  
ხედი ქვედა ბიეფიდან**

კაშხლის ქვედა ბიეფის ნაგებობები შედგებოდა (დანგრევამდე) 20 მ სიგრძისა და 1,2 მ სისქის წყალსაცემი ფილისა და 40 მ სიგრძის რისბერმისგან, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული იყვნენ ერთ პორიზონტზე, ზღვის დონის ქვევით -3 მ ნიშნულზე. წყალსაცემი ფილა კაშხლიდან 12 მ-ში აღჭურვილი იყო 1,5 მ სიმაღლის ენერგიის ჩამქრობი სამკუთხა კ.წ. რებოკის კბილების რიგით (ნახ. 2).




**ნახ. 2. წყალგამყოფი კაშხლის ქვედა ბიეფის სქემატური ჭრილი დანგრევამდე.  
სურათზე წარმოდგენილია ბიეფების შეუდლების არასასურველი რეჟიმები:**

1. წყალსაშვის ფუძის ფილა;
2. წყალსაცემი ფილა;
3. რისბერმა;
4. რებოკის კბილები;
5. სეგმენტური საკეტი

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, წყალგამყოფი პიდროკვანძის კაშხლის წინ წარეცხვის სიღრმეებმა მიაღწია 8-9 მ-ს და წარეცხები უშუალოდ მიუახლოვდა კაშხლის ქვედა ბიეფში მოწყობილ რისბერმას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს წყალთა მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციებით „საქწყალპროექტმა“ შეიმუშავა კაშხლის ქვედა ბიეფის გამაგრების პროექტი. კაშხლიდან 80 მ-ის დაშორებით, მდინარის კალაპოტის განივად, ჩასვეს ლითო-

ნის ნარანდი, რომელმაც გადაღობა მდინარის კალაპოტი -3 მ ნიშნულამდე. ამავე დროს რისბერმასა და ნარანდს შორის არსებული წარეცხილი ფსკერი ამოავსეს დიდი ზომის ლოდებით თავდაპირველ საპროექტო ნიშნულამდე. პროექტი 1982-83 წწ. განახორციელა „კოლხიდმშენია“, მაგრამ ამ ღონისძიებამ არა თუ შეაფერხა, არამედ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ქვედა ბიეფის წარეცხვისა და ნგრევის პროცესების განვითარებას.

ამჟამად აღარ არსებობს რისბერმა, დამსხვერეულია წყალსაცემი ფილის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით, კაშხლის ცენტრალური 4, 5 და 6 მალების წინ (ნახ. 3. ა, ბ) და, როგორც უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა დაპვირვებამ აჩვენა (შპს „ჰიდროსფერო“), გამორეცხის ღრმულებმა შეადგია უშუალოდ კაშხლის ტანის წყალსაშვი ფილის – საძირკვლის ქვეშაც.



ნახ. 3. წყალგამყოფი კაშხლის ქვედა ბიეფის ნგრევების კონტურისა (ა) და დამსხვრეული წყალსაცემი ფილების (ბ) ესკიზური ნახატები („საქწყალპროექტი“ 2006-2007 [3])

ამრიგად, მდ. რიონზე აგებულმა არც კაპიტალურმა და არც დროებითმა საინჟინრო ნაგებობებმა და ღონისძიებებმა ფაქტობრივად არა თუ ვერ გაამართლა თავისი ფუნქციური დანიშნულება, დაეცვათ ფოთის ნაპირი წარეცხებისაგან, არა-მედ თვითონვე გამოვიდნენ მწყობრიდან.

ცხრ. 1-ში და ნახ. 4-ზე ნაჩვენებია სხვადასხვა წელს კაშხლის ქვედა ბიეფის კალაპოტში დაფიქსირებული ფსკერის მინიმალური ნიშნულები (ანუ წარეცხვის მაქსიმალური სიღრმეების შესაბამისი ნიშნულები), ათვლილი ბალტიის ზღვის ეტალონური დონიდან. თვით შავი ზღვის ზედაპირი ქალაქ ფოთთან -0.61-დან +0.2 ნიშნულებს შორის მერყეობს.

### ცხრილი 1.

#### ფსკერის ნიშნულის ცვლილება კაშხლის ქვედა ბიეფის კალაპოტში

წელი	1960	1968	1977	1979	1980	1981	1982	1997	2000	2003	2004
ქვედა ბიეფის წარეცხვის ნიშნულები	-5.0	-6.5	-8.0	-9.5	-10.5	-12.0	-9.4	-10.5	-12.8	-8.2	-8.7
დაშორება წყალსაცემიდან, მ	70	70	60	65	60	70	80	45	40	25	25

გარდა ამისა, პროფ. შ. გაგოშიძის პიდრავლიკური გაანგარიშებებით [2,3] წყალსაცემი ფილის სისქე (0,4 მ) კაშხლიდან მდინარის საშუალო ხარჯის გაშვებისას (300 მ<sup>3</sup> /წმ-მდე, რაც ხდებოდა კაშხლის ცენტრალური ფარების ნაწილობრივი გადებით) არასაკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ წყალსაცემ ფილებს გაეძლო ხანგრძლივი პულსაციური და ტალღური დატვირთვებისთვის (რასაც დამატებით ამძაფრებდა რებოკის კბილები) და არ დამსხვრეულიყო კაშხლის თითქმის მთელ სიგრძეზე;

ამავე დროს როგორც პროექტის [8], ასევე 80-იანი წლების დასაწყისში გატარებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებათა მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მათი შემუშავებისას მხედველობაში არ იყო მიღებული მოსალოდნელი კალაპოტური პროცესები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს რისბერმისა და ნაწილობრივ წყალსაცემი ფილის დანგრევაში. კალაპოტური პროცესების უგულებელყოფა პროექტში აისახება იმ ფაქტით, რომ პროექტის მიხედვით რისბერმა განლაგებული იყო მაღალ, -3 მ ნიშნულზე და შედგებოდა  $2 \times 2 \times 0,4$  მ ზომის ერთმანეთთან ხისტად შეკავშირებული რკინაბეტონის ფილებისგან, ნაცვლად უფრო მძიმე (მინიმუმ 0,8 მ-მდე სისქის) [3, 7] მოქნილად შეკავშირებული ფილებისა. ამასთან, რისბერმა წინასწარვე უნდა ყოფილიყო დახრილად ჩაღრმავებული კალაპოტის ფსკერში. რაც შეეხება ნარანდის ჩასმას, 80-იან წლებში გატარებული სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებისას ან საერთოდ არ უნდა განხორ-

ციელებულიყო, ან თუ მიმართავდნენ ამ ღონისძიებას, ნარანდსა და წყალსაცემ ფილტრების შორის არსებულ გამორეცხვის ღრმულებში ჩაყრილი ლოდების ზედაპირი აუცილებლად უნდა გადაებეტონებინათ. წყალშეუღწევი ზედაპირის უქონლობის გამო ქვანაყარი იოლად დაექვემდებარა გამორეცხვების და ლოდები (რომლებიც თავადვე უწყობდა ხელს ნაკადის ტურბულენტობის ზრდას), მოკლე ხანში აღმოჩნდა სრულიად ჩაძირული მდინარის ფსკერის გათხვადებულ გრუნტში (მდ. რიონის შესართავი უბნის ფსკერი, რომელიც შედგება საშუალოდ 0,4 მმ დიამეტრის მარცვლებისგან, ირეცხება მდინარის ფაქტობრივად ნებისმიერ სიჩქარეზე. ამიტომ შეიძლება ითქვას, ფსკერი სინქრონულად „სუნთქვავს“ მდინარის ხარჯის მცირეოდენ ცვლილებასთან ერთად).

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა წლებში ჩატარებული წყალქვეშა აგეგმვების გარდა, კაშხლის ქვედა ბიეფის წარეცხვები თეორიულად იქნა შეფასებული – 2003 წელს პროფესორმა შ. გაგოშიძემ კაშხლის ქვედა ბიეფში წარეცხვის ღრმულების მაქსიმალური მნიშვნელობებისა და ამ ღრმულების კაშხლიდან დაშორების საანგარიშოდ ჩამოაყალიბა შემდეგი პოსტულატები [1, 3]:

ა) წყნარ რეჟიმში, როცა ფრუდის რიცხვი ნაკლებია ერთზე ( $Fr < 1$ ) მდინარის ფსკერის წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ემთხვევა მდინარის თანაბარი მოძრაობის შესაბამის სიღრმეს, დადგენილს შეზის კანონის საფუძველზე წყლის ნაკადის ზედაპირის მოცემული ნიშულებისა და ქანობის მეშვეობით;

ბ) თუ ბიეფები ზედაპირული პიდრავლიკური ნახტომით უდლდებიან ერთმანეთთან, წარეცხვის ეს მაქსიმალური სიღრმეები დაშორებულია წყალსაცემიდან იმ მანძილზე, რა მანძილზეც პორიზონტალურად მიმართული ტურბულენტური ჭავლის სიჩქარე ქვედა ბიეფის წყნარ ნაკადში ეცემა ამ ნაკადის თანაბარი მოძრაობის სიჩქარემდე.


ამ პოსტულატებით სარგებლობისას გათვალისწინებული იყო, რომ ზღვის ნულოვან დონეზე კაშხალთან მიმდებარე კალაპოტის სიგანე (205 მ) განიცდის მცირე ცვალებადობას კალაპოტის სიღრმესთან შედარებით. ქვედა ბიეფში მდ. რიონის კალაპოტი აპროქსიმირებულ იქნა პარაბოლის სახით, ხოლო მდინარის თავისუფალი ზედაპირის ქანობები გაანგარიშდა ზღვიდან 6 კმ-ში მდებარე კაშხლის კვეთში დაფიქსირებული წყლის ზედაპირის ნიშნულების საფუძველზე [4]. ამასთან, კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტი ნარანდის ჩასმამდე მიჩნეულ იქნა  $n = 0,04$ -ად, ხოლო ნარანდის ჩასმის გათვალისწინებით  $n = 0,06$ -ის ტოლად. რაც შეეხება მეორე

პოსტულატის საფუძველზე მდინარის სხვადასხვა ხარჯის შესაბამის წარეცხვის მაქსიმალური სიღრმეების დაშორებას წყალსაცემიდან, ისინი გაანგარიშებულ იქნა დამირული ჭავლური ნაკადების თეორიის ცნობილი მკვლევრის – აბრამოვიჩის ფორმულის საფუძველზე [4,6]:

$$X = \frac{h_0}{0.08} \cdot \left( 0.48 \cdot \frac{V_0}{V_{\text{დ.}}} - 0.145 \right),$$

სადაც  $h_0$  და  $V_0$  ტურბულენტური ჭავლის სიღრმე და სიჩქარეა წყალსაცემი ფორმის თავზე;  $V_{\text{დ.}}$  – პირველი პოსტულატის საფუძველზე შეზის ფორმულით დადგენილი მდინარის თანაბარი სიჩქარე კალაპოტის ქვედა ბიეფში.

ამ მიდგომამ, არსებული ემპირიული ფორმულებისგან განსხვავებით, თითქმის ზუსტად ასახა კალაპოტის გარეცხვის ის მაქსიმალური სიღრმეები და წყალსაშვიდან მათი დაშორების კოორდინატები, რომლებიც გაზომვებით იყო დადგენილი (ნახ. 4. და ცხრ. 2). კერძოდ, ცხრილ 3.5-ის თანახმად, ნარანდის ჩასმამდე კაშხალთან მიმდებარე მდინარის კალაპოტის გარეცხვის მაქსიმალური ნიშნული  $\nabla_{\text{ფ.}} = -9,4$  მ (რომელიც შეესაბამება წყალდიდობის 3610 მ<sup>3</sup>/წ ხარჯის გატარებას) მყარდება წყალსაცემიდან 60,5 მ-ში. ხოლო ნარანდის ჩასმის შემდეგ ფსკერის წარეცხვის ნიშნული აღწევს  $\nabla_{\text{ფ.}} = -13$ -ს. ის განთავსებულია ნარანდსა და წყალსაცემს შორის.



ნახ. 4. მდ. რიონის წყალგამყოფი პიღროკვანძის კაშხლის ქვედა ბიეფის დეფორმირებული ფსკერის ნიშნულები და ჰალოსოლის დონეები ნარანდის ჩასმამდე (---) და ნარანდის ჩასმის შემდეგ (—)

გარდა იმისა, რომ ნარანდის ჩასმამ კალაპოტში გაზარდა და მიუახლოვა წარეცხვის სიღრმეები კაშხალს, ამ ღონისძიებამ დააჩქარა კიდევ კაშხლის ქვედა ბიეფის დეფორმაციების ტემპებიც. საქმე იმაშია, რომ ვიდრე ნარანდის ბარიერი

ჩაისმებოდა კალაპოტში, ქიმით -3,0 ნიშნულამდე, ზღვის შედარებით დიდი სიმკვრივის მქონე წყალი (პალოსოლი) მდინარის კალაპოტში საკმაოდ დიდი ხარჯების გავლის დროსაც კი აღწევდა კაშხლამდე, ფარავდა რა წყალსაცემ ფილას, ხოლო კაშხალზე 300-400  $\text{m}^3/\text{მ-მდე}$  ხარჯების გავლისას რისბერმის ფარგლებში ქმნიდა უძრავ წყლის ბალიშს, რის გამოც, ამ შუალედური ხარჯების გავლისას მდინარის მტკნარი წყლის ნაკადი ფაქტობრივად არ ზემოქმედებდა ფსკერზე. ზღვის წყლის ეს უძრავი ბალიში მხოლოდ ხელს უწყობდა მდინარის მყარი ჩამონადენის სწრაფ დალექვას ფსკერზე, რითიც კიდევ უფრო მეტად აფერხებდა წარეცხვის პროცესებს რისბერმის წინ მდებარე კალაპოტში.


## ცხრილი 2

### მდ. რიონის წყალგამყოფი კაშხლის ქვედა ბიეფის პიდრავლიური მახასიათებლები

გადაჭრის დრო, გვ/წელი	V, $\text{m}^3/\text{s}$	H, $\text{m}$	H <sub>0</sub> , $\text{m}$	ნარანდის ჩასმამდე				
				Q <sub>1</sub> , $\text{m}^3/\text{s}$	Q <sub>2</sub> , $\text{m}^3/\text{s}$	Q <sub>3</sub> , $\text{m}^3/\text{s}$	Q <sub>4</sub> , $\text{m}^3/\text{s}$	Q <sub>5</sub> , $\text{m}^3/\text{s}$
400	3,45	2,69	0,90	5,30	0,55	-4,76	94,5	-6,16
600	3,90	2,20	250	5,80	0,76	-4,90	60,7	-6,50
800	4,20	2,27	2,00	6,30	0,93	-5,10	53,9	-6,84
1100	4,51	2,49	2,50	13	213	-5,64	525	-61
1380	4,75	2,08	2,90	82	299	-6,307	33	-8,22
1960	5,04	2,78	3,40	9,21	256	-17	44,8	-9,70
2400	5,26	3,26	3,80	10,0	275	-79	49,3	-10,54
292	5,47	3,81	4,10	1205	293	-8,58	54,9	-1263
3610	5,74	4,49	4,60	12,13	2,18	-9,39	60,5	-12,76


ამრიგად, მდინარის კალაპოტში ნარანდის მოწყობამ შეფერხების ნაცვლად დააჩქარა წარეცხვისა და ნგრევის პროცესები კაშხლის ქვედა ბიეფში, რის გამოც კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მიზანშეწონილია მოხდეს მისი დემონტაჟი (თუმცა კაპიტალურ სარეაბილიტაციო სამუშაოთა განხორცილების პროცესში იგი შეიძლება ნაწილობრივ გამოყენებული იქნეს კიდევ სამშენებლო ზღუდარის სახით).

დროებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებები მსოფლიო ბანკის პურატორობით განახორციელა „საქართველოს გამორჩევის“ 2005-2006 წლებში და ითვალისწინებდა გამორჩევის ქვედა ბიეფში მაკაფერის გაბიონების ჩაწყობას (ნახ.5), რაც „კოლხიდმჰენის“ მიერ შესრულებული სამუშაოსგან განსხვავებით, ამ ეტაპზე დადებითად უნდა იქნეს შეფასებული, თუმცა სულ უკანასკნელმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ გაბიონები ქვედა ბიეფის ფსკერში მაინც ჯდება.



ნახ. 5. კაშხლის ქვედა ბიეფის გამაგრება გაბიონების მეშვეობით  
„საქართველოს გამორჩევის“ 2006-2007)

მდ. რიონის წყალგამყოფი პიდროკვანძის კაშხლის კაპიტალური რეაბილიტაციისთვის ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ წყალსაცემი ფილის მოწყობას უფრო დაბალ – -5 მ ნიშნულზე, 1,5 მ სისქით, მის ბოლო კბილთან ჩასმული უნდა იყოს ნარანდი -15 მ ნიშნულამდე (ნახ. 6). ეს ღონისძიება კაპიტალურად დაიცავს წყალგამყოფი კვანძის კაშხალს ქვედა გამორჩევებიგან.



ნახ. 6. მდ. რიონის წყალგამყოფი კვანძის ქვედა ბიეფის რეაბილიტაციის სქემა:  
1. წყალსაცემი; 2. სიღრუეთა ცემენტაცია; 3. წყალსაცემი ფილი; 4. ქვიშის ფენა;  
5. ნარანდი; 6. ბოლვერკი; 7. ქვიშით შევსებული ტომრები.  
8. წარეცხვის კონტური (2003 წ.)

## ლიტერატურა

1. გაგოშიძე შ., მეტრეველი თ., ქადარია ი., დოხნაძე კ., ლაკერბაია გ. კალაპოტური პროცესებისა და ზღვის ფაქტორის გავლენა მდ. რიონის წყალგამყოფი კვანძის კაშხლის ქვედა ბიეფის მდგრადობაზე, სამეცნ-ტექნ. ჟურნალი „ენერგია“ თბილისი, 2004, № 2(30), გვ. 46-51.
2. გაგოშიძე შ. კოდუა მ., საღინაძე ი., ქადარია ი. სამდინარო ჰიდრომშენებლობა და საქართველოს შავიზღვისპირეთის გეომორფოლოგიური პროცესები. მონოგრაფია, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2017. 192 გვ.
3. მდინარე რიონის წყალგამყოფი კვანძის ჰიდრავლიკური გაანგარიშება და კაშხლის ქვედა ბიეფის სარეაბილიტაციო ღონისძიებათა შეფასება. ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი 2003. 52 გვ.
4. Gagoshidze Sh., Kadaria J., Long wave on variable stationary flow, Proceedings of Long Waves Symposium, in parallel with the XXX IAHR Congres, Thessaloniki, Greece, August 25-27, 2003. p. 223-228.
5. Защита от размыва русел нижних бьефов водосбросов (рекомендации по проектированию). -М.: ВНИИ ВОДГЕО, 1974.
6. 116. Киселев, П.Г. Справочник по гидравлическим расчетам [Текст] / П.Г. Киселев. – М.: Энергия, 1972.–312 с.
7. Музаев И.Д. Задачи о волновом движении воды в водохранилищах в приложении к гидротехническому строительству в горных и предгорных условиях. В сб.: Гидрофизические процессы в реках и водохранилищах. М.: Наука, 1985, с. 22-25.
8. Технический проект регулирующего сооружения на р. Риони с мостовым переходом. Том II, Книга 2. М.: Гипроводхоз. 1951 г.

შაბ 626.02

## წყალქვეშა დაგენტონება

ა. ახვლედიანი, ა. გოგოლაძე, გ. ახვლედიანი, ი. გოგოლაძე  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** წყალქვეშა დაბეჭონება ეწოდება ბეჭონის ჩაწყობას წყლის ქვეშ ხღუდა-რების მოწყობისა და წყალქცევის გარეშე. წყალქვეშა დაბეჭონება ხორციელდება ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ნაგებობების რემონტის დროს, კლდოვან გრუბების გაჭრილი ჭაბურღლილის გარების გამაგრებისას, ხაძირკვლის გახმორებისას, რკინაბეჭონის კონსტრუქციების ცარიელი ადგილების შესავსებად და ქვედა ხიმინჯების მოწყობის დროს.

**საკვანძო სიტყვები:** ყალიბი, წყალქვეშა დაბეჭონება, ინექციური მეთოდი, პიდროვის მეთოდი მეთოდი.

### 1. შესავალი

საქართველოსთვის, როგორც შავიზღვისპირა ქვეყნისათვის, რომლის სანაპირო ზოლი გადაჭიმულია 312 კილომეტრზე, მეტად აქტუალურია პორტების მშენებლობა და დასავლეთ საქართველოს უმსხვილესი მდინარეების – რიონის, ენგურისა და ჭორონის შესართავი უბნების მდგრადობა. უკვე რამდენიმე ათეული წელია ირეცხება საქართველოს შავიზღვისპირეთის უნიკალური პლაჟები, საჭიროა მათი გამაგრება და დაცვა ზღვის მიტაცებისაგან. ყოველივე ამისათვის მოსაწყობია პიდროტექნიკური ნაგებობები, რაც თავისთავში გულისხმობს სხვა სამუშაოებთან ერთად წყალქვეშა დაბეჭონებასაც.

ნაშრომში განხილულია წყალქვეშა დაბეჭონების თანამედროვე მეთოდები და ხერხები.

## 2. მიზანთადი ნაწილი

წყალქვეშა დაბეტონება ხორციელდება მყვინთავების დახმარებით, რომელთა დავალებაა: დაბეტონების ბლოკების მომზადება, ყალიბების დაყენება, ყალიბების ხვრელების ამოქოლვა, მილების დაყენება და თვალყურის დევნება სამუშაოების შესრულებაზე.

მოსამზადებელ სამუშაოებში შედის:

- დასაბეტონებელი უბნის გასუფთავება;
- ქვის საგების დაფარვა წვრილი ხრეშით, ქვიშით, ბეტონიანი ტომრების მომარაგება;

- ადრე დაგებული ბეტონის სუსტი ფენის მოცილება;

- ნავთობისა და მაზუთის ლაქების მოცილება;

- წყალქვეშა გამოკვლევა და აქტის შედგენა სამუშაოებზე.

წყალქვეშა დაბეტონების წარმოებისას გამოიყენება შემდეგი ტიპის ყალიბები:

- ხის ბალასტირებული ფარი;

- ხელითონის ყალიბი;

- ლითონის ბრუნვადი;

- რკინაბეტონის არაბრუნვადი.

ყალიბი, რომელიც გამოიყენება წყალქვეშა დაბეტონებისას, უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ცემენტის ხსნარისთვის გაუღწევადობა, გეომეტრიული ფორმის აუცილებლობა;

- წყლის ქვეშ დაყენების სიმარტივე;

- პირაპირების სიმკვრივე.

ყალიბს გარედან ამაგრებენ ტომრებს ორ რიგად, ავსებულს 2/3-ზე ქვიშით ან ქვებით, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება დამატებით დაიტვირთოს ქვით. საბრუნებელი ყალიბის გამოყენებისას ბეტონთან შეხებაში მყოფი ზედაპირი დაიფარება ბიტუმით გაუღიერებით ჯვალოთი ან სინთეტიკური ქსოვილით. ბეტონირება ხდება უწყვეტ რეჟიმში საპროექტო ნიშნულის მიღწევამდე.

### წყალქვეშა დაბეტონების ხერხები

განასხვავებენ წყალქვეშა დაბეტონების შემდეგ მეთოდებს:

- ვერტიკალურად გადაადგილებადი მილებით (ვგმ);

- ამომავალი ხსნარის (ახს) გამოყენებით;
- ბეტონის ნარევის ჩაწყობით კიუბელებად;
- ბეტონის ნარევის ტკეპნით („ჯუნბულის“ მეთოდი);
- ბეტონის ჩაწყობით ტომრებში;
- ბეტონის ჩაწყობით ბეტონის ტუბოებით;
- ინიექციური მეთოდით;
- პიდროვიბრაციულით.

თანამედროვე პრაქტიკაში გამოიყენება წყალქვეშა დაბეტონება, რომელიც ცნობილია დასახელებით „Колкret“ (საფრანგეთი); „Препарк“ (აშშ), „Беното“ (საფრანგეთი); „Като“ (იაპონია) და სხვა. ეს არის ზემოთ ჩამოთვლილი ხერხების მოდიფიკაცია.

გერტიკალურად გადაადგილებადი მილის მეთოდი (ვგმ) – ეს მეთოდი გამოიყენება ღრმა წყლებში 1-დან 50 მ-დე. ბეტონის ნარევის მისაწოდებლად გამოიყენება ლითონის ინვენტარული მილები  $D_t = 200 - 300$  მმ, კედლის სისქით 4-6 მმ. ბეტონს ხემული მილები შედგება 1-3 მ სიგრძის რგოლებისგან. რგოლებს ბოლოებში აქვთ მილტუჩები. რგოლების ერთმანეთთან მიერთებისას მილტუჩებს შორის თავსდება რეზინის შუასადებები. ბეტონი მილში მიეწოდება ძაბრიდან, რომლის დიამეტრიც ინიშნება არანაკლებ ბეტონსხემული მილის 4 მ დიამეტრისა ( $Db > 4D_t$ ). ძაბრი კეთდება 3-5 მმ სისქის ლითონისგან. მისი მოცულობა დაახლოებით ბეტონსხემული მილის მაქსიმალური მოცულობის ტოლია.

**გერტიკალურად გადაადგილებადი მეთოდით (ვგმ) ბეტონის ჩაწყობა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:**


- დასაბეტონებელი მოედანი აღიჭურვება მიწისქვეშა გზებით, ამწეთი, ჯალამბრით, ამომწევით;
- ბეტონსხემული მილი დაყენდება დასაბეტონებელი ბლოკის ძირზე;
- მილში თავსდება ხის, ნახერხის, პაკლის ან სხვა მცურავი მასალის საცობი;
- მილს ავსებენ ბეტონით; აწევენ მილს;
- როდესაც ბეტონი მიაღწევს მილის ბოლო ზემადალ ნიშნულს, მილს აწევენ შემდგომ დონეზე და ეს პროცედურა მეორდება ბლოკის დაბეტონებამდე.

მილის ბოლოს ჩაღრმავება ბეტონში შენარჩუნებული უნდა იყოს 0,8-1,5 მ-ზე. ნარევის მიწოდების ინტენსივობა უზრუნველყოფილია 0,3 მ<sup>3</sup>/სთ. 1მ<sup>2</sup>-ზე.


ბეტონსხმული მილის მოქმედების რადიუსი (R) დამოკიდებულია ბეტონის ნარევის მოძრაობაზე და დაბეტონების ინტენსივობაზე, რაც შესაძლებელია განისაზღვროს დამოკიდებულებით  $R = h + 0,6H$ , სადაც  $h$  არის ძაბრის წყლის ზედაპირზე განლაგების სიმაღლე,  $H$  – წყლის სიდრომე წყალქვეშა ბეტონის ზემოთ, მაგრამ მოინიშნება არა უმეტეს 6 მ-ისა (სურ. 1. 1. ა, ბ, დ). მილის ძორზე ბეტონის სვეტის წნევა შენარჩუნდება 0,1-0,25 მგპა ( $10-25 \text{ кг/м}^2$ ) საზღვრებში.

წყლის გარღვევისას ბეტონსხმულ მილში დაბეტონება შეჩერდება. დაბეტონების განახლება შესაძლებელია ბეტონის სიმტკიცის 2 მგპა ( $200 \text{ кг/см}^2$ ,  $20 \text{ кг/см}^2$ )-მდე მიღწევის შემდეგ. 10–15 სმ სისქის ბეტონის ფენას მოხსნიან. დაბეტონების აღდგენის შემდეგ ჩატარებენ მოსამზადებელი სამუშაოების მთლიან კომპლექსს.

**მოთხოვნები ბეტონის ნარევის მიმართ.** ბეტონის ნარევის კონუსის დაჯდომის (დაწვა) გათვალისწინებით 14–20 სმ ვიბრაციის გამოყენების გარეშე და 6–12 სმ ვიბრაციის გამოყენებისას, ბეტონში უმატებენ პლასტიკატორებს. ბეტონის მარკა 10%-ით მეტია ნაგებობაში გამოყენებულ ბეტონის მარკაზე.



სურ. 1. 1. ა. მილის ვერტიკალურად გადაადგილების მეთოდი




სურ. 1. 1. ბ. მილის ვერტიკალურად გადაადგილების მეთოდი:

1. ძაბრის ხაკეტი;
2. ჩასატვირთი ძაბრი;
3. მილი;
4. სამუშაო ესტაკადა (ფენილი);
5. ლითონის ყალიბი;
6. წყლის დონე;
7. მილის რკოლები;
8. ყალიბის დამატებითი გამავრება;
9. ღობე;
10. ბეტონის მილის ხორთუმი;
11. მცურავი ამწე;
12. ყალიბი – ღორლის

დაბეტონება შეწყდება დასაწყობი ბეტონის მიერ ნიშნულის მიღწევისას, რომელიც 10–12 სმ-ით აღემატება საპროექტოს. ბეტონის მიერ 2 მგვა ( $20 \text{ кг/м}^2$ ) სიმტკიცის მიღწევის შემდეგ ზედა ფენა მოცილდება.

**დიდი ფართის დაბეტონება.** დაბეტონების ბლოკის ზომები ერთი მილის ქვეშ გეგმაში დაინიშნება არა უმეტეს  $2R$ -სა. დიდი ფართების დაბეტონებისას დგინდება მილების ჯგუფი, რომლებიც მთელ ფართს გადაფარავენ. ამასთან, ბლოკის სიგანე და დაშორება მილის ლერძებს შორის ინიშნება არა უმეტეს 6 მ. მიმღები ბუნკერი მოეწყობა რამდენიმე მილზე. ბეტონს მიაწვდიან ხორთუმების მეშვეობით. ხორთუმი და ძაბრი მოეწყობა საფარით.



სურ. 1. 1. დ. მილის გერტიკალურად გადაადგილების მეთოდი:

1. ელექტრული ჯაღამბარი;
2. ესტაკადის საყრდენები;
3. აგროვითმცლელი-ბეტონმზიდი;
4. ესტაკადი;
5. ლითონის ყალიბი;
6. დაწყობილი ბეტონი;
7. გერტიკალურად გადაადგილებადი მილი;
8. მიმღები ბუნკერი

**მოწყობილობა ბეტონის მისაწოდებლად.** დასაბეტონებელი ადგილი აღიჭურვება ყალიბებით, პონტონებით, ბადიებით, ბეტონდგუშებით, ვაგონებებით, ტრანსპორტით.


**კონტროლი დაბეტონების მსვლელობაზე.** მილის ჩაძირვაზე კონტროლისათვის მასზე დატანილია ჭდეები. ბეტონის დონე მოწმდება შვეულით.

**ვიბრირების ეფექტი.** მილების ვიბრირება საშუალებას იძლევა შემცირდეს ცვმენტის ხარჯი 10–12%-მდე და გაიზარდოს ნაგებობის მშენებლობის ხანგძლივობა. მილზე ჩვეულებრივ დააყენებენ ორ ვიბრატორს – ბოლოში და შუაში.


**ამომავალი ხსნარის მეთოდი (სურ. 1. 2. ა. ბ. დ).** ამომავალი ხსნარის მეთოდი, ანუ დაყოფილი დაბეტონების მეთოდი, გამოიყენება 1–50 მ-მდე სიღრმეებში. მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დასაბეტონებელი ბლოკი შეივსება ქვით ან ხრეშით, შემდეგ დაიჭირხება ცემენტის ხსნარით, რომელიც ვრცელდება რა მილის მხრიდან და აიწევა ქვემოდან ზევით, გამოდევნის მასას სიცარიელიდან წყალში.

ამ მეთოდით დაბეტონებისას გამოიყენება 150–400 მმ-იანი ზომის ქვები, 40–150 მმ ხრეში, 2,5 მმ ქვიშა. ქვის სიმტკიცე უნდა იყოს არა ნაკლებ 10 მგპა ( $100 \text{ кг/см}^2$ ). სიცარიელის ქვიან ნაყარში მოცულობა შედგენს 45%. ბეტონის სიმტკიცე უნდა იყოს არანაკლებ 15 მგპა ( $150 \text{ кг/см}^2$ ). ამ მეთოდით წყალქვეშა დაბეტონებისთვის გამოიყენება ბეტონსხმული მილები  $d=37\text{--}100$  მმ. ლითონის ძაბრებს უნდა ჰქონდეთ არა ნაკლებ  $30^\circ$  დახრილობა. საცობები დაყენდება ბეტონსხმულ მილებში დაბეტონების დაწყების წინ  $d>75$  მმ მილების გამოყენებისას  $H>10$  მ სიღრმეზე. ბეტონსხმული მილების მოქმედების რადიუსი მიიღება დასაბეტონებელი ბლოკის  $R=3$  მ-ს – ქვებით, ხოლო  $R=2$  მ-ს ხრეშით შევსების შემდეგ. მილებს შორის დაშორება უნდა იყოს 2–2,5 მ ფარგლებში. ერთი მილის ზღვრულად რაციონალური მოქმედების ფართი დადგინდება 18 მ<sup>2</sup>-მდე. ხსნარის მიწოდების ინტენსივობა უზრუნველყოფილია  $0,3 \text{ м}^3/\text{с}$ . 1 მ<sup>2</sup> დასაბეტონებელ ფართზე.

განასხვავებენ ამ მეთოდით დაბეტონების ორ ნაირსახეობას – დაწნევით და დაწნევის გარეშე.




სურ. 1.2. ა – ამომავალი ხსნარის მეთოდი; ბ – უდაწნეო;  
გ, გ, დ – დაწნევით (ინიექციური)



სურ. 1.2. ბ. სქემა ამომავალი ხსნარის მეთოდით (უდაწნეო):

1. ძაბრის საკეტი;
2. ჩახატვირთი ძაბრი;
3. მილი;
4. გიხოსიანი შახტა;
5. სამუშაო ენტაქადა (ფენილი);
6. წყლის დონე;
7. ღორღის ყრილი;
8. ბეტონის ხსნარი;
9. ლითონის ყალიბი;
10. ლობა;
11. ჯალამბარი;
12. ბეტონის მიმწოდებელი მილი;
13. ბეტონის პომპა



სურ. 1. 2. დ. სქემა ამომავალი ხსნარის მეთოდით:

2. ესტაკადის საყრდენები;
4. ესტაკადი;
5. ლითონის ყალიბი;
6. ჩასხმული ბეტონი;
8. მიმღები ბუნკერი;
9. მიღები ხსნარის მისაწოდებლად;
10. ქვიანი ნაფარი

**უდაწეო დაბეტონების მეთოდი.** ამ მეთოდით დაბეტონება ხორციელდება წინასწარ დაყენებული შახტიდან, რაც გამორიცხავს მიღის გაჭედვას მისი ამოწევისას. შახტის კედლებზე მოინიშნება ისეთი ზომის ხვრელები, რომლებიც შეადგენს შემავსებლის უმცირესი ზომის 2/3-ს. ყველა ხვრელის ფართობი უნდა იყოს შახტის საერთო ფართის არა ნაკლებ 50%. მიღის ჩაძირვა ჩასაწყობ ბეტონში შენარჩუნდება 0,8 მ-ის დონეზე.

**დაწევითი მეთოდი.** ამ დროს მიღები ყენდება იარუსებად. ხსნარის ამოსვლის მიხედვით შემდეგ სამუშაოდ იყენებენ უფრო მაღალი იარუსის მიღებს. დაბეტონების დასრულების შემდეგ კი ბეტონის მასივიდან მიღებს არ იღებენ. მიღების ზედა ნაწილი, განლაგებული დაბეტონების ბლოკის გარეთ, მოიჭრება. წყლის ზედაპირიდან მიღის სიმაღლის გადაჭარბება შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$h = (R - 1,5DH)/3D,$$

სადაც R არის მიღის მოქმედების რადიუსი;

D – შემავსებლის საშუალო სიღიდვე;

H – წყლის სიმაღლე ხსნარის დონის ზემოთ.

პრაქტიკულად რეკომენდებულია წყლის ზედაპირიდან მიღის ზევით ამოწევა არანაკლებ 5 მ-ისა. ეს მეთოდი წარმოადგენს დამხმარეს და გამოიყენება ვერტიკალურად გადაადგილებადი მიღების მეთოდის გამოყენების დროს. ამომავალი ხსნარის მეთოდის გამოყენებისას მცირდება ცემენტიანი ხსნარის ხარჯი, მაგრამ იზრდება ლითონის მიღების ხარჯი, სიცარიელის ამოვსება არასაკმარისად საიმედოა.

დასაბეტონებელი ბლოკის განშრეების თავიდან ასაცილებლად შესვენებები მუშაობის დროს უნდა იყოს აბსოლუტურად გამორიცხული.

**ბეტონის კიუბელებით ჩაწყობის მეთოდი.** ეს მეთოდი გამოიყენება ნაგებობებში 20 მ-მდე სიღრმეზე, არ მოითხოვს ბეტონის  $200 \text{ კგ/სმ}^2$ -ზე მეტ სიმტკიცეს. ასეთ ნაგებობებს მიეკუთვნება კონსტრუქციები დამცავი აფსკით, რომლებიც მუშაობენ ვერტიკალურ დატვირთვაზე (დიდი დიამეტრის აფსკები, გამშვები ჭები, კოლონა-აფსკები), ასწორებენ საძირკვლის ბეტონის ძირებს ნაგებობის ქვეშ.

სამუშაოების საწარმოებლად გამოიყენება M200 მარკის ბეტონი, კონუსის დაჯდომით 1–5 სმ-ზე. ბეტონის პირველი ფენა შეიცავს გათვლილზე 15–20%-ით მეტ ცემენტს. გამოიყენება 0,1–3 მ<sup>3</sup> ტევადობის კიუბელები (ბუნკერი, ყუთი, ბადია, გრეიფერი).

ბეტონის კიუბელებად ჩაწყობის რიგითობა შემდეგია: ბეტონის ნარევით მთლიანად ავსებული კიუბელი მიეწოდება წყლის ქვეშ, ჩაიტენება დაგებულ ნარევში 5-10 სმ-ზე, მოხდება მისი გაშლა. ნარევის შემდეგი პორცია დაიდება წინას შეჭიდებამდე.

დაბეტონების დროს გამორიცხულია ცემენტის ხსნარის გამოდინება, წყლის შეღწევა კიუბელში, ხსნარის ჩაშვება წყლის სიღრმეში.

**მეთოდის ნაკლს წარმოადგენს:** ფენებად ჩაწყობა, ხსნარის ნაწილობრივი გადარეცხვა კიუბელის განტვირთვისას, მყვინთავების დასაქმების აუცილებლობა ბეტონის ნარევის ჩაწყობაზე კონტროლისთვის და მის გადასწორებასა და შლამის მოცილებაზე.

**ბეკვნის (ტკეპნის) მეთოდი (სურ.1.3) გამოიყენება:**

- ნაგებობის აგებისას არა ნაკლებ 1,5-2,0 მ სიღრმეზე;
- ნაგებობებში არასაკმარისი არმირების დროს;
- ბეტონით, არაუმეტეს 300 -ზე მეტი მარკით;
- საძირკველის გადასასწორებლად კლდოვან ნაპირებზე;
- სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისას თხელ წყალზე; ნაპირსა-მაგრი ნაგებობების აგებისას;
- ბეტონის დაბალი ხიმინჯის ფუძე-ჩარჩოს აგებისას.

**მოთხოვნები მასალების მიმართ.** ჩასაწყობი ბეტონის მარკა გამოიყენება მოთხოვნილზე 20%-ით მაღალი. ბეტონის ნარევის კონუსი დაწეული უნდა იყოს 5-10 სმ-ით. ბლოკის უმცირესი გეგმიური ზომა უნდა იყოს დაბეტონების სისქეზე მეტი.

სამუშაოთა ჩატარების მიმდევრობა. სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგი თან-მიმდევრობით:

- ყალიბის დაყენება, რომელიც იცავს ნარევს გადარეცხვისგან;
- ბეტონსხმული მილების ან კიუბელის დახმარებით დასაბეტონებელი ბლოკის ერთ-ერთ კუთხეში შეიქმნება კუნძული, რომლის ზომები არ არის რეგლამენტირებული;
- კუნძულის კონტურზე მიეწოდება ბეტონის ხსნარის ულუფა, წინა ულუფის შეკვრის დაწყების დროის მომენტისთვის;
- ხდება ახალი ბეტონის ხსნარის ადრე დაგებულ ბეტონზე ბეკვნ პნევმოსატ-კეპნების, ელექტროსატკეპნების, ვიბროფართების, ვიბრობულების დახმარებით;
- ბეტონის ხსნარის გამკვრივება სიღრმითი ვიბრატორებით.


სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა: ამწე, მცურავი ამწე, კიუბელი, გრეიფერი, ბადია, ვიბრატორი, ბეტონმზიდები, ბეტონამრევი კვანძი.

**მირითადი მოთხოვნები სამუშაოთა წარმოებაზე.** კუნძულის ფერდის დახრა უნდა იყოს  $35-45^{\circ}$ . კუნძულის ამაღლება წყლის დონეზე უნდა იყოს არანაკლებ 30 სმ, ბეტონის ხსნარის ულუფა ჩაიდება 20-40 სმ დაცილებით წყლის ჭრილიდან. ვიბრატორის მუშაობა ფერდთან ახლოს დაუშვებელია. ბეტონის ჩაწყობა მიმდინარეობს შესვენებების გარეშე. ადრე ჩაწყობილი ბეტონის შეჭიდებისა და გამყარების ზონა ხელშეუხებელია. ბეტონის მომდევნო ულუფა დაიდება წინა ულუფის შეჭიდებამდე. ხსნარის ჩასხმა ფერდის ზემოთ წყალში დაუშვებელია. სამუშაოების გაგრძელება აუცილებელი შესვენების შემდეგ შესაძლებელია ბეტონის 50%-იანი სიმკვრივის მიღწევის და ადრე დაგებული ბეტონის ზედაპირის მომზადების (ბეტონის ზედა დასუსტებული ფენის მოხსნა, შლამის მოცილება და ა.შ.) შემდეგ.

ამ მეთოდის უპირატესობას წარმოადგენს ბლოკების დაბეტონების და ბლოკებად დაყოფის საჭიროების აუცილებლობა, ნაკლს – მაღალი შრომატევადობა და ხსნარის მიწოდების მაღალი ინტენსივობა.

**ბეტონის ტომრებში ჩაწყობის მეთოდი.** ბეტონის ჩაწყობა ტომრებში გამოიყენება სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების, ავარიების ლიკვიდაციის, კავერნის ამოშენების, 2 მ-მდე სიღრმეში არასაპასუხისმგებლო კონსტრუქციების აგების, ფსკერის გასწორების, წყალქვეშა ყალიბად და ინვენტარული ყალიბის გამაგრების დროს. 2-დან 50 ლ-მდე ტევადობის ტომრებისთვის გამოიყენება მტკიცე, მაგრამ იშვიათი ქსოვილი, რომელსაც შეუძლია წყლის, ჰაერის და ნაწილობრივ ცემენტის რძის გატა-

რება. ტომრები ახალმომზადებული ბეტონით აივსება 2/3-ზე. ბეტონის ხსნარი მზადდება კონცესის დაწევით 1–7 სმ-ზე. შემავსებლის მაქსიმალური სიმსხო 10-დან 200 მმ-დეა. შევსების შემდეგ ტომრები შეიკვრება ან გაიკერება. 50 ლ-ზე მეტი ტევადობის ტომრები წყლის ქვეშ ბეტონით შეივსება ბეტონტუმბოს საშუალებით.



სურ. 1. 3. ბეტონის (ტაქტის) „აუნძულის“ მეთოდი:

1. ბეტონი;
2. ბეტონის ახალი პორცია;
3. დაბეტონებული ფერდი,
4. ყალიბი;
5. ლითონის ყალიბი;
8. მიმღები ბუნკერი

ტომრების ჩაწყობა ხდება შემდეგი მიმდევრობით:

- მომზადდება ტომრების დასაწყობი ადგილი;
- ამწეს დახმარებით ტომრები სათითაოდ ან კონტეინერით მიეწოდება მყვინ-თავებს წყლის ქვეშ უსაფრთხოების ზომების დაცვით;
- ტომრები ჩალაგდება ფსკერზე ჰორიზონტალურად ნაწიბურების შეკვრით;
- ხდება ტომრების კურსის არმირება წნელებით და გაიკერება  $d=10-20$  მმ,  $l=30-40$  სმ მანქვალებით.

**ბეტონტუმბოებით ჩაწყობის მეთოდი.** ამ მეთოდით ბეტონის ჩაწყობა ხდება სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების დროს. სამუშაოების წარმოებისთვის გამოიყენება ბეტონტუმბოები წარმადობით  $14-20$  მ<sup>3</sup>/სთ, ხოლო წნევით  $0,7-0,8$  მგპა.

დაბეტონება ხორციელდება შემდეგი მიმდევრობით:

- მომზადდება ბეტონის ჩაწყობის ადგილი;
- ბეტონდგუშზე დაყენებები ბეტონამრევის ბუნკერს;
- ბეტონმზიდით ბეტონი მიეწოდება ბეტონმსხმელ მილს, რომელიც დაკიდებულია ამწის კაუჭზე დასაბეტონებელი ბლოკის თავზე;
- მილის ბოლო თავდაპირველად დაყენდება ძირითად ბლოკზე 10 სმ-ით მაღლა;
- შევსების შემდეგ მილის ბოლოდან 1 მ-ით მაღლა მას ასწევენ 20-30სმ-ით და ა.შ, დაბეტონების დასრულებამდე.

**წყალქვეშა დაბეტონების ინიციური მეთოდი.** ეს მეთოდი გამოიყენება სარემონტო სამუშაოებისას. საჭიროა ბეტონტუმბოები წარმადობით 1-3 მ<sup>3</sup>/სთ. დაბეტონება ხორციელდება შემდეგი რიგით: ხდება ბეტონის ჩაწყობის ადგილის მომზადება; დაყენდება ყალიბი; ყალიბი ქვედა ნაწილში აღიჭურვება შტუცერით, ხოლო ზედა ნაწილში - გამოსასვლელი ღიობით; ბეტონდგუშის შლანგი მიუერთდება შტუცერს. ბეტონის ხსნარი უწყვეტად მიეწოდება დასაბეტონებელ ღრუს; ბეტონის მიწოდება ხორციელდება ხსნარის ამოსვლამდე ყალიბის ზედა ნაწილის ღიობიდან. ღრუ დაბეტონების წინ შეიძლება შეივსოს ქვით ან ხრეშით. ბეტონდგუშის 20–25 წუთი მუშაობის შემდეგ ხდება მისი გამორთვა 15–20 წმ-ის განმავლობაში.

**წყალქვეშა დაბეტონების პიდროვიბრაციული მეთოდი.** ცნობილია პიდროვიბრაციული მეთოდის ორი მოდიფიკაცია:

1. დასაბეტონებელი ბლოკი აივსება ბეტონის ინერტული შემავსებლით, მიეწოდება ცემენტის ხსნარი შემავსებლის ვიბრირების ღროს;
2. დასაბეტონებელი ბლოკი შეივსება ცემენტის ხსნარით, მსხვილი შემავსებლები მიეწოდება დასაბეტონებელ ბლოკს ხსნარის ვიბრირებისას. ამ მეთოდის ძირითად ნაკლს წარმოადგენს ცემენტის დიდი ხარჯი.

### 3. დასპპნა

ნაშრომში წარმოდგენილია პიდროსაინჟინრო ნაგებობის მშენებლობის ღროს საჭირო ერთ-ერთი კომპონენტის – წყალქვეშა დაბეტონების – თანამედროვე მეთოდები და ხერხები, როგორიცაა: დაბეტონება ვერტიკალურად გადაადგილებადი მილებით, ამომავალი ხსნარის გამოყენებით, ბეტონის ნარევზე ჩაწყობა კიუბელებად, ბეტონის ნარევის ბეკვნის (ტკეპნის) მეთოდის გამოყენება, ბეტონის ტომრებში ჩაწყობა ინიციური და პიდროვიბრაციული მეთოდით.

ასევე განხილულია, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ბეტონის ნარევი წყალქვეშა დაბეტონების დროს და როგორია სამუშაოთა ჩატარების თანმიმდევრობა.

ნაშრომი მეტად აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან დაიწყო ანაკლიის დრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, სადაც არაერთგზის იქნება საჭირო წყალქვეშა დაბეტონება და სტატიაში მოყვანილი წყალქვეშა ბეტონირების ხარჯებისა და მეთოდების გამოყენება, რაც სარგებლობას მოუტანს იქ დასაქმებულ მუშაკერსონალს.

#### **ლიტერატურა**

1. Телешев В.И и др. Производство гидротехнических работ. (Учебник для вузов) Москва: Издательство, АСВ, 2012.
2. Годес, Э.Г., Нарбут. Р.М. Строительство в водной среде. Справочник Л: Стройиздат. 1989.- 527 с.
3. Эристов В. С., Абхази В. И., Волнин Б. А. Производство гидротехнических работ. М.: Стройиздат, 1970.-560 с.

## შაგ 628.1

### ტყლის მიწოდების უზრუნველყოფის სიდიდის შეფასებისათვის

**მ. ნაცვლიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** განხილულია წყლის მიწოდების შიგა სისტემები, რომლებიც აღ-  
ჭურვილია მნიშვნელოვნად განხხავებული პიდრავლიკური მახასია-  
თებლების ძირი წყალდამხარჯი ხელსაწყოებით. ამ სისტემების შეუ-  
ფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭიროა ჩატარდეს მტკუნებათა  
ხანგრძლივობის შეფასება და წყლის მიწოდების უზრუნველყოფის  
დონის შერჩევა.

**საკვანძო სიტყვები:** წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, წყალდამხარჯი ხელ-  
საწყოები, ხელსაწყოთა ერთეულოვანი ხარჯები, პიდრავლიკური მახა-  
სიათებლები, შეუფერხებელი ფუნქციონირება, ერთჯერადი დარღვევე-  
ბი, მნიშვნელოვნობის დონეები, მტკუნებათა ხანგრძლივობა.


#### 1. შესავალი

ცნობილია, რომ საპროექტო ობიექტის ქსელის მოცემული უბნისათვის წყალ-  
დამხარჯი ხელსაწყოს ერთეულოვანი ხარჯის კი-ის შერჩევა განაპირობებს საან-  
გარიშო წამური ხარჯის სიდიდეს კ, რომელიც მოქმედი სამშენებლო ნორმების და  
წესების მოთხოვნათა შესაბამისადაა გამოთვლილი. საანგარიშო ხარჯის მიხედვით  
მიღების დიამეტრების რაციონალური შერჩევისა და იმავდროულად დაწესების და-  
ნაკარგების უცვლელობის პირობებში წყლის შეუფერხებელი მიწოდების უზრუნ-  
ველყოფის დონის შერჩევა და ერთჯერადი დარღვევის ხანგრძლივობის სიდიდის  
დადგენა წარმოადგენს უპყველ პრაქტიკულ ინტერესს.

## 2. მიზითადი ნაწილი

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად საანგარიშო  $q$  სიდიდეს გააჩნია უზრუნველყოფა  $Pq = 0.997$ , ხოლო ამ ხარჯზე გადაჭარბების ალბათობა  $P_H = 0.003$ , რაც შეესაბამება მომხმარებლის მიერ ყოველ საათში წყლის მაქსიმალური მოხმარების, წყლის შესაძლო მიწოდების დარღვევის რეჟიმის საშუალო ჯამურ ხანგრძლივობას, რომელიც არ გადააჭარბებს  $t = 3600 \cdot 0.003 = 10.8$  წამს.

კონკრეტულ განსახილველ დროის ინტერვალში წყლის საჭირო ხარჯი დასაშვებია აჭარბებდეს საანგარიშოს, რომლის მიწოდება გარანტირებულია საპროექტო სისტემით, რაც შეიძლება გახდეს მიზეზი რომელიმე მოქმედი ხელსაწყოს ხარჯის შემცირებისა. ეს უკანასკნელი გარემოება მოცემულ შემთხვევაში ფასდება, როგორც წყლის მიწოდების რეჟიმის დარღვევა. მოყვანილი მნიშვნელობა არ გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ ამა თუ იმ დარღვევის დაშვების შესახებ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, თუმცა დასაშვები ობიექტური შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს წყლის მიწოდების ერთჯერადი დარღვევის საშუალო ხანგრძლივობა  $t$ . იმ შემთხვევაში, როცა  $t$  მიისწრაფის 0-კენ, წყლის მიწოდების დარღვევები მომხმარებლის მიერ ვერ იქნება აღქმული იმ დროსაც კი, თუ გაიზრდება მათი რიცხვი, რომელთა ჯამური ხანგრძლივობა რჩება უცვლელი. თუ საანგარიშო სიდიდეების სხვადასხვა უზრუნველყოფისას წყლის მიწოდების რეჟიმის უდიდესი მოხმარების საათის განმავლობაში დარღვევების მნიშვნელობებს განვიხილავთ, მივიღეთ ქვემოთ მოყვანილ დამოკიდებულებას. იხ. გრაფიკი.



დავუშვათ, რომ  $q_0 = 0,2$  და  $q_{01} = 0,3 \text{ლ}/\text{წმ}$ . პირველ შემთხვევაში წყლის მიწოდების დარღვევის საშუალო ჯამური ხანგრძლივობა უდიდესი წყალმოხმარების საათში  $t=10.8$  წამს. მეორე შემთხვევაში, როცა  $q_{01} = 0,3 \text{ლ}/\text{წმ}$ , მოძებნილი ხარჯზე გადაჭარბება შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით:

$$\Theta = 3 \sqrt{\frac{q_{01}}{q_0}} = 3 \sqrt{\frac{0.3}{0.2}} \approx 3.7,$$

რომელიც შეესაბამება უზრუნველყოფის სიდიდეს 0,9998. მოცემულ შემთხვევაში წყლის მიწოდების დარღვევის საშუალო ჯამური ხანგრძლივობა შემცირდება და მივიღებთ:

$t = 3600.(1-0,9998)=0, 72$  წმ და ა.შ. სამშენებლო ნორმებსა და წესებში მითითებული დამსარჯი წერტილის ერთეულოვანი ხარჯის სიდიდე პრაქტიკულად გამორიცხავს წყლის მიწოდების დარღვევის შესაძლებლობას. გრაფიკის მიხედვით მნიშვნელოვნობის დონეების შერჩევისას უნდა ვიხელმძღვანელოთ და გავითვალისწინოთ მტყუნებათა ხანგრძლივობის სიდიდეები. როგორც ჩანს, შიგა წყალსადენების გაანგარიშებისას მნიშვნელოვნობის დონეები უნდა მივიღოთ 2,7 – 3,0-ის ფარგლებში, რაც შეესაბამება 0,993 და 0,997 უზრუნველყოფას.

### 3. დასტვნა

შიგა წყალსადენის სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საანგარიშო ხარჯების სიდიდის დასადგენად აუცილებელია უფრო მაღალი მოთხოვნების წაყენება და ხარჯების შესაბამისი ერთჯერადი დარღვევის ხანგრძლივობის შეფასება. ამასთან წყლის მოხმარების ნორმების დაზუსტებასთან ერთად მნიშვნელოვანია წყლის მიწოდების უზრუნველყოფის დონის შერჩევა, რომელიც განაპირობებს დარღვევების სიდიდეს. ხარჯების უზრუნველყოფის სიდიდის ზრდა იწვევს ერთჯერადი დარღვევების ხანგრძლივობის შემცირებას. შიგა წყალსადენების გაანგარიშებისას მნიშვნელოვნობის დონეები უნდა მივიღოთ 2,7-3,0-ის ფარგლებში, რაც შეესაბამება 0,993 და 0,997 უზრუნველყოფას.

## ԸՆԹԱՐԱԳՈՐԾՎԱԿԱՆ

1. СНиП 2.04.01-85. Внутренний водопровод и канализация зданий. М., 1986.
2. В. Е. Гмурман. Руководство к решению задач по теории вероятностей и математической статистике. М.: «Высшая школа» 1979.
3. Инструкция по проектированию внутренних систем водоснабжения и канализации жилых и общественных зданий. ЦНИИЭП инженерного оборудования. М., 1978.
4. Л. А. Шопенский, В. Н. Родин, Н. В. Нацвлишвили. К вопросу определения единичных расходов воды приборами для участков распределительных сетей холодного и горячего водоснабжения отдельных зданий и комплексов зданий различного назначения, Госгражданстрой ЦНИИЭП инженерного оборудования, Вопросы водоснабжения и канализации / Сборник научных трудов, М., 1983.
5. Н. В. Нацвлишвили. Экспресс-методика определения параметров водопотребления для расчета водопроводов (зданий и сооружений различного назначения). Диссертация на соискание ученой степени кандидата технических наук. МИСИ им. В.В. Куйбышева. М., 1984.

## შაგ 628.1

### წყალდამხარჯ ხელსაჭყოთა ერთეულოვანი ხარჯების შეფასება

**მ. ნაცვლიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** განხილულია ობიექტების წყალსადენების სისტემები, რომელთა შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წყალსადენის გამანაზილებელი ქსელის უბნებზე დაყენებულ წყალდამხარჯი ხელსაწყოების ერთეულოვანი ხარჯების სიდიდის განსაზღვრის ხერხის შერჩევას.

**საკვანძო სიტყვები:** წყალდამხარჯი ხელსაწყოები, ხელსაწყოთა ერთეულოვანი ხარჯები, ჰიდროგლიკური მახასიათებლები, შეუფერხებელი ფუნქციონირება, ერთჯერადი მტკუნებები.

#### 1. შესაბალი

სხვადასხვა დანიშნულების თანამედროვე შენობები და მათი კომპლექსები, რიგ შემთხვევებში აღჭურვილნი არიან მნიშვნელოვნად განსხვავებული ჰიდროგლიკური მახასიათებლების და მუშაობის რეჟიმების მქონე წყალდამხარჯი ხელსაწყოებით. ეს გარემობა არის მიზეზი წყლის მიწოდების დაუშვებელი ხანგრძლიობის ერთჯერადი დარღვევის წარმოქმნისა, ამიტომ და-ის მნიშვნელობა მანაწილებელი ქსელის უბნებისათვის უნდა განისაზღვროს ერთჯერადი დარღვევების ისეთი მცირე მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომლებიც არ აღიქმება მომხმარებლის მიერ.

#### 2. მიზანთაღი ნაწილი

წყლის ხარჯების ნატურული გაზომვების შედეგები ასახავენ მრავალი ფაქტორის გავლენას წყლის მოხმარების პროცესზე, ამიტომ მათი დამოკიდებულების საპოვნელად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს წყლის ხარჯების სტოქასტიკუ-

რი მოდელირების შედეგები მოცემული არის,  $N$ ,  $P$ ,  $N$  და  $P$  პარამეტრებით. აღნიშნული ამოცანა შეიძლება გადაიჭრას გამოვარდნების თეორიის საფუძველზე. ვინაიდან გამოყენებულია ნორმალური განაწილების კანონი ე.ო. პარამეტრები,  $q_0$ ,  $N$  და  $P$  მოდებული უნდა იყოს საჭირო საზღვრებში. ნათქვამის გათვალისწინებით საწყის მონაცემებად მიღებულია დატვირთვის 4 მათემატიკური მოლოდინი  $M[q]=q_0NP$ , რომლებიც განსახილვები კვეთში  $M[q]=\text{const}$  ფორმირდებოდნენ  $N$  მნიშვნელობის განსაზღვრისას, აგრეთვე ხასიათდებოდნენ ოთხივე და  $P$  სიდიდით. ამასთან დატვირთვების ხელშებული მათემატიკური მოლოდინის პროცესში მიღებული იყო, რომ წყალდამხარჯი ხელსაწყოების რაოდენობა შეადგენდა 100, 200, 400 და 800.  $P$ -ს მნიშვნელობა ყოველი მათგანისათვის მიღებული იყო 0.05; 0.1; 0.2 და 0.4-ის ტოლად, ხოლო  $q_0$  შესაბამისად 0.8; 0.4; 0.2 და 0.1 (ლ/წმ). მოყვანილი სიდიდეები წარმოადგენდნენ საწყის მონაცემებს წყლის ხარჯის პროცესების რეალიზაციის დროს სტოქასტიკური მოდელირების მეთოდებით  $P$ . აღნიშნულის მიხედვით განსაზღვრა სიხშირე და საშუალო ხანგრძლივობა დატვირთვების ერთჯერადი გამოვარდნებისა  $q_0=q_0m$  წინასწარ მიღებული დონეების დროს, რომლებიც ახასიათებენ მოდელირების პროცესში შესაბამისი წყლის ხარჯების უზრუნველყოფას შეჯგუფებულ ვარიაციულ რიგებში. ამ მიზნით ყოველ რეალიზაციისას განისაზღვრა ყველა გამოვარდნების ჯამური ხანგრძლივობა  $T_{\varphi}$ , მიღებული ამა თუ იმ დონეების გათვალისწინებით ცდების ციკლის განმავლობაში  $T_{\varphi}$ ; გამოვარდნების რაოდენობა  $M_{\varphi}$ ; გამოვარდნების საშუალო სიხშირე  $t_{\varphi}$ , აგრეთვე ერთჯერადი გამოვარდნის საშუალო ხანგრძლივობა  $\tau$ . ეს მახასიათებლები წყლის ხარჯის განსახილვები პროცესებში, რომლებიც განაწილებულები არიან ნორმალური კანონით, შეიძლება გამოითვალოს ფორმულებით:

$$T_{\varphi} = \{1 - \Theta(\Pi_{\varphi})\} T_{\theta} / 2 = E_{\varphi} T_{\theta}; \quad (1)$$

$$T_{\varphi} = Gv\varphi(\Pi_{\varphi}) / \sqrt{2K}G; \quad (2)$$

$$M_{\varphi} = \{1 - \Theta(\Pi_{\varphi})\} T_{\theta} / T_{\varphi}; \quad (3)$$

$$\tau_{\varphi} = E_{\varphi} / T_{\varphi} = \sqrt{2\pi} G [1 - \Theta(\Pi_{\varphi})] / 2G_{\varphi}\varphi(\Pi_{\varphi}); \quad (4)$$

$$\Pi_{\varphi} = (P_{\varphi} - P_0) / G; \quad (5)$$

$$Gv = \sqrt{2\pi} G \sqrt{1 - R(\Delta)} / \Delta; \quad (6)$$

$$N(\tau) = K(\tau) / G^2, \text{ როცა } \tau = \Delta \quad (7)$$

სადაც  $\varphi(\Pi_\varphi)$  და  $\Theta(\Pi_\varphi)$  ნორმალური განაწილების დიფერენციალური და ინტეგრალური ფუნქციებია;

$\Pi_\varphi$  – დონის ფარდობითი მნიშვნელობა;

$E_\varphi$  – მოცემულ დონეზე გამოვარდნის ალბათობა;

$P_\varphi$  – დონის მიღებული მნიშვნელობა;

$P_0$  და  $G$  – ხარჯების საშუალო მნიშვნელობა და განაწილების სტანდარტი მოცემული ვარიაციული რიგისათვის;

$G_\varphi$  – ხარჯების სიდიდეთა ცვალებადობის სიჩქარის სტანდარტი მოცემული რეალიზაციისათვის;

$R_\tau$  – ხარჯების განაწილების ნორმირებული კორელაციური ფუნქცია.

წყლის ადების პროცესის სტოქასტიკური მოდელირების შედეგების დამუშავებამ აჩვენა, რომ  $\tau_\varphi$  საშუალო მნიშვნელობა მოცემული დონისათვის არაა დამოკიდებული  $q_0, NP, N$  და  $P$  სიდიდეებზე და განისაზღვრება მხოლოდ ამ დონით, აგრეთვე დადგენილი  $q_0$  მნიშვნელობით. ამასთან, დატვირთვის მიღებული დონის სხვადასხვა უზრუნველყოფის დროს  $\tau_\varphi$ -ზე  $q_0$ -ის ცვლილება ერთნაირი ხასიათისაა. ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

$$\tau_\varphi = \frac{0,135}{q_0 * \Theta^{0,8}}. \quad (8)$$

სამშენებლო ნორმებსა და წესებში რეგლამენტირებული საანგარიშო წამური ხარჯების უზრუნველყოფის  $P_q = 0,997$  გათვალისწინებით ფორმულა მიიღებს სახეს:

$$\tau_\varphi = \frac{0,056}{q_0}. \quad (9)$$

მიღებული ფორმულა გვაძლევს საშუალებას რაოდენობრივად შეფასდეს და-საპროექტებელი წყალსადენის ფუნქციონირების ხარისხი, რადგან შესაძლებელია მოიძებნოს მომხმარებლებზე წყლის მიწოდების მოსალოდნელი დარღვევის ხანგრძლივობა მიღებულ და სიდიდეზე დამოკიდებულებით. ასეთი მიდგომა საკმაოდ უნივერსალურია და იგი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ეფექტიანად კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებისას.

### 3. დასპენა

ერთეულოვანი წყლის ხარჯების განსაზღვრის წარმოდგენილი მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ იგი კომპიუტერული პროგრამების შედგენისას, რაოდენობრივად შევაფასოთ დასაპროექტებელი წყალსადენის ფუნქციონირების ხარისხი. მისი გამოყენება მიზანშეწონილია აგრეთვე ცალკეული შენობებისა და ნებისმიერი დანიშნულების შენობათა კომპლექსების ცივი და ცხელი წყალმომარაგების სისტემების გაანგარიშების ალგორითმების შედგენისას.

### ლიტერატურა

1. СНиП 2.04.01-85. Внутренний водопровод и канализация зданий. М., 1986.
2. В. Е. Гмурман. Руководство к решению задач по теории вероятностей и математической статистике. М.: «Высшая школа» 1979.
3. Инструкция по проектированию внутренних систем водоснабжения и канализации жилых и общественных зданий. ЦНИИЭП инженерного оборудования. М., 1978.
4. Л. А. Шопенский, В. Н. Родин, Н. В. Нацвлишвили., К вопросу определения единичных расходов воды приборами для участков распределительных сетей холодного и горячего водоснабжения отдельных зданий и комплексов зданий различного назначения, Госгражданстрой ЦНИИЭП инженерного оборудования. Вопросы водоснабжения и канализации. Сборник научных трудов, М.: 1983.
5. Н. В. Нацвлишвили. Экспресс-методика определения параметров водопотребления для расчета водопроводов (зданий и сооружений различного назначения). Диссертация на соискание ученой степени кандидата технических наук. МИСИ им. В.В. Куйбышева. М., 1984.
6. Тихонов В.И. Выбросы случайных процессов. М.: Наука, 1970.–392с.

შაბ 627.5

## გეგმის საზღვაო გარემოს დაპირულების აღკვეთა

### ა. საყვარელიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** საერთაშორისო კონკურსია გემებიდან საზღვაო გარემოს დაბინძურების შესახებ შეიცავს ღონისძიებებს და წესებს, რომლებიც მიმართულია გემების დაბინძურების აღკვეთისა და მინიმუმისაკენ.

ნავთობით დაბინძურების აღკვეთის წესები (ძალაში შევიდა 02.10.1983 წ.) მოიცავს ექსპლუატაციით გამოწვეული დაბინძურების და შემთხვევით ნავთობის დაღვრით გამოწვეული დაბინძურების აღკვეთის ღონისძიებებს. 1992 წლის შესწორებით აუცილებელი გახდა ნავთობის ტანკერების აღჭურვა ორაგი კორპუსით. შემუშავდა სპეციალური გრაფიკი ტანკერების აღჭურვის.

მაგნე თხევადი ნივთიერებებით დაბინძურების აღკვეთის წესებში (2.10.1983 წ.) დეტალურად არის მოცემული მომშეამავი თხევადი ნივთიერებების ჩაყრით ზღვის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების კრიტერიუმები. კველა შემთხვევაში აკრძალულია ნარჩენების ჩაყრა ზღვაში უახლოესი ნაპირიდან 12 მილზე ნაკლებ მანძილზე.

მაგნე ნივთიერებებით დაბინძურების შემთხვევაში (რომლებიც გადაქვთ შეფუთული ფორმით) აღმკვეთი ღონისძიებები (ძალაშია 01.07. 1992წ.) მოიცავს ზოგად მოთხოვნებს შესაფუთი მასალების შესახებ, მარკირებაზე, დოკუმენტაციაზე, განთავსებაზე, რიცხობრივ შეზღუდვებზე, გამორიცხვასა და შეტყობინებაზე.

ჩამდინარე წყლებით დაბინძურების აღმკვეთი წესები (ძალაშია 27.09.2003 წ.) მოიცავს მოთხოვნას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების კონტროლის შესახებ. ჩამდინარე წყლების ჩაღვრა ზღვაში აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გემზე საექსპლუატაციოდაა დამტკიცებული სადგური ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის. გემებიდან ნავთობის ჩაყრით გამოწვეული დაბინძურების აღკვეთის წესები (ძალაში შევიდა 31.12. 1988 წ.) ეხება სხვადასხვა სახის ნავთობის მითითებულია ნაპირიდან ჩაყრის ადგილის დაშორება და

უზილიზაციის ხერხები. ამ წესებში ყველაზე მთვარია ხრული აკრძალვა ზღვაში ყველა ხახის პლასტმასის ჩაყრაზე.

გემებიდან პარის დაბინძურების აღკვეთის წესები (ძალაშია 19.06. 2005 წ.) აღვენს შეზღუდვებს გოგირდის ოქსიდისა და აზოვის ოქსიდის გამონაბოლქვებზე. აკრძალულია ოზონის გამანადგურებელი ნივთიერებების გამოყოფა პარში.

2011 წელს წესებს დაემატა ოვი, რომელიც აუცილებელს ხდის გემების ენერგოუზვებზე ასამაღლებლად და საექსპლუატაციო ღონისძიებებს გემებიდან ხასათბურება გაზების გამოყოფაზე.

**საპანძო სიტყვები:** კონკენტრია; აღკვეთის წესები, ნავთობის ტანკერი; მავნე ნივთიერებები, ჩამდინარე წყლები, აკრძალვა, ოზონი, ნივთიერება, ზღვა, გემი.

## 1. შესაგალი

საზღვაო ტრანსპორტის განვითრებამ, ნავთობის საზღვაო გადაზიდვების ინტენსიურობის მატებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სანაპირო წყლებისა და სანაპიროების დაბინძურება ნავთობით და მისი ნარევებით. ამის შედეგად ნაპირებსა და პლაჟებს ადგებათ მნიშვნელოვანი ზიანი, ნადგურდება ზღვის ფაუნა და ფლორა, პრობლემას გლობალური ხასიათი აქვს.

ზღვის გარემოს დაბინძურება ძირითადად ხდება წყალში ნედლი და საწვავი ნავთობით, მძიმე დიზელის საწვავით და საპოხი ზეთებით. ეს ნივთიერებები მდგრადია სანგრძლივი დროის განმავლობაში, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვან მანძილზე გაადგილება და ზღვის სანაპიროების დაბინძურება.

დიდი რაოდენობის ნავთობი იდვრება ზღვაში ტანკერების ავარიების, გადასატვირთი სამუშაოების, გემების ტანკების გამორეცხის შედეგად. ნავთობშემცველი წყლის ჩადვრა ხდება აგრეთვე მშრალი ტვირთების გადასაზიდი გემებიდან.

ზღვის წყლის დაბინძურება ხდება აგრეთვე ჩამდინარე წყლებით სულ უფრო მზარდი მოცულობის სამუშაო-საყოფაცხოვრებო პორტების მიმდებარე ქალაქებისა და საწარმოების მიერ.

ზღვის გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა უპირველესად მიმართულია მისი ნავთობით დაბინძურების აღსაკვეთად [1,2].

საზღვაო სამართლის შესახებ შენევის 1958 წლის კონვერენცია [3] და გაეროს 1982 წ. კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ [4] ავალებს სახელმწიფოებს დაიცვან კუთვნილი საზღვაო სივრცე. გაეროს 1982 წლის კონვენციაში შედის ნაწილი XII, რომელიც სპეციალურად არის მიძღვნილი საზღვაო გარემოს დაცვისა და შენარჩუნებისადმი.

1954 წლის კონვენცია ზღვის ნავთობით დაბინძურების აღკვეთის შესახებ კრძალავს ნავთობისა და მისი ნარევების ჩაღვრას გემებიდან და ტანკერებიდან ზღვაში [5,6]. კონვენციის წესები ავალდებულებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ პორტები გემებიდან ნავთობის ნარჩენების მიმღები დანადგარებით [6].

1972 წლის კონვენცია ზღვის დაბინძურებაზე, რომელიც ნავთობის ნარჩენების და სხვა მასალების ჩაყრით [7] არის გამოწვეული, გამოყოფს 3 ჯგუფს: 1. ნივთიერებები, რომელთა ჩაყრის შესახებ საჭიროა სპეციალური ნებართვა; 2. ნივთიერებები, რომლებიც საჭიროებენ ზოგად ნებართვას და 3. ნივთიერებები, რომელთა ჩაყრა ზღვაში საერთოდ აკრძალულია. ასეთებია, მაგალითად, ქლორორგანული შენაერთები, ვერცხლისწყალი, ნავთობი და მისი ნაერთები, რადიაქტიული მასალები, ბიოლოგიური და ქიმიური ომებისათვის საჭირო მასალები.

## 2. მირითადი ნაწილი

1973 წლის კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ საერთოდ კრძალავს ნებისმიერი ნივთიერების ჩაყრას. ესენია ნავთობი და შხამიანი ნივთიერებები, ჩამდინარე წყლები, ნაგავი და ნარჩენები ყველა ტიპის გემებიდან. გამონაკლისია სამხედრო ხომალდები და ის გემები, რომლებიც გამოყენება სახელმწიფო არაკომერციულ სამსახურში [8].

ზღვისპირა სახელმწიფოებს აქვთ უფლება, გაუწიონ საგარეო გემებს ინსპექტირება და დამრღვევების მიმართ დაიწყონ სამართლებრივი დევნა.

დადგენილია ერთიანი საერთაშორისო სტანდარტები დაბინძურების წინასწარი აღკვეთის შესახებ. რიგ რაიონებს აქვთ განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმი, სადაც საშიში ნივთიერებების ჩაყრა ზღვაში კატეგორიულად აკრძალულია (შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, წითელი ზღვა, სპარსეთისა და ომანის ყურეები) [9].

მნიშვნელოვან საზღვაო რაიონებში, დაბინძურებასთან დაკავშირებით, მიღებულია ჩარევის განსაკუთრებული ზომები. საერთაშორისო ორგანიზაციამ 1969 წელს მიიღო კონვენცია ჩარევის შესახებ დია ზღვაში ავარიის შემთხვევაში [10], რომლებიც იწვევენ ნავთობით დაბინძურებას, ხოლო 1973 წელს მიიღო ოქმი ჩარევის შესახებ ზღვის დაბინძურების შემთხვევაში ნავთობის გარდა სხვა ნივთიერებებით [11].

აღნიშნული კონვენციების შედეგად მის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს მათი სანაპიროებისათვის სერიოზული ხიფათის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით.

ზღვის გარემოს ნავთობით დაბინძურების თავიდან აცილების წესებში [7,12] შედის:

1. გემებზე ნავთობშემცველი წყლის გაწმენდის ტექნოლოგია;
2. წყლის ზედაპირების დაცვა ნავთობითა და მისი პროდუქტებით დაბინძურებისას;
3. ნავთობშემცველი წყლის შემკრები და გამწმენდი თვითმავალი სადგურის შექმნა;
4. ნავთობშემცველი წყლის მიმღები და გადამამუშავებელი სისტემა;
5. პიდროსფეროს ნავთობშემცველი წყლის დაბინძურებით გამოწვეული ეკონომიური ზარალის შემცირება.

გემების ექსპლუატაციის დროს პიდროსფეროს დაბინძურების ძირითადი წყარო არის ნავთობი და ნავთობპროდუქტები. გემებით მათი გაზიდვისას ისინი ზღვაში ხვდება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჩაღვრით საწვავის სატვირთო მოცულობების არაჰერმეტულობის გამო; გადატვირთვის შემდეგ ტანკების გამორეცხვისას [13].

პორტის აკვატორიის დაბინძურების წყარო, გარდა სატრანსპორტო და სარეიდო გემებისა, შეიძლება იყოს სპეციალური გემები, რომელთა რიცხვში შედის:

- კვამლსაჭირები სადგურები, რომლებიც აწოდებენ ინერტულ გაზებს ნავთობის ტანკერებში;
- გადასატუმბი სადგურები, რომლებიც გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების გადატვირთვისათვის;
- ნავთობმისადგომი გემები და გემები, რომლებიც გათვალისწინებულია ფლოტის საწვავით და საპოხი მასალით მომარაგებისათვის;

- ნავთობდამჭერი კომპლექსები, რომლებიც გათვალისწინებულია ავარიულად დაღვრილი ნავთობის შეკრებისა და ლიკვიდაციისათვის;
- მცურავი სადგურები გემებიდან ნავთობშემცველი წყლის მიღებისა და გაწმენდისათვის [8,14].

არსებული საერთაშორისო და ნაციონალური წესებით დასაშვებია სპეციალური მოწყობილობების ქონა, რომლებიც უზრუნველყოფენ ნავთობშემცველი წყლის გაწმენდას.

ნავთობშემცველი წყლის გაწმენდის ხერხებია:

1. დალექვა;
2. ფლოტაცია – პნევმატური და დაწნევითი;
3. ელექტროქიმიური გაწმენდა;
4. ადსორბცია;
5. ოზონირება;
6. ბიოქიმიური და ბიოლოგიური გაწმენდები.

ცნობილია აგრეთვე გაწმენდის ისეთი ხერხები, როგორიცაა ნავთობშემცველი წყლის დამუშავება ელექტრულ, მაგნიტურ და ულტრაბგერით ველებში.

ზღვის აკვატორიის დაცვა ნავთობისა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურების-გან აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს [5,9].

ნავთობი წყლის ზედაპირზე მოხვედრისას სწრაფად იშლება. ფრაქციები იღე-ქება და აბინძურებს არა მარტო სანაპირო ზონას, არამედ ფსკერს [15,18]. ნავთო-ბით დაბინძურებისას ზღვასა და შიგა წყლის აუზებს ბევრი საერთო აქვთ, თუმცა დაბინძურების ხასიათსა და მათ ლიკვიდაციაში სხვადასხვაობაა [16].

შიგა წყალსაცავებს სისუფთავისადმი წაგენებათ უფრო მაღალი მოთხოვნები, ვიდრე საზღვაო გარემოს.

გემებიდან ნავთობპროდუქტების ჩაღვრის თავიდან აცილების კომპლექსური ღონისძიებები მნიშვნელოვნად განაპირობებს წყლის აკვატორიის სისუფთავეს გემ-მისადგომებთან და მთლიანად საზღვაო პორტებში [17].

განსაკუთრებით საჭიროა დაბინძურების აღმკვეთი ზომები ტანკერების დაზიანების და დაღუპვისას, ნავთობსადენების გაწყვეტისას [12,18].

აკვატორიის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების ეფექტური ორგანიზაციისათვის და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლი-კვიდაციისათვის შექმნილია ნავთობის ნაგავშემკრები გემები; გამწმენდი სადგურე-

ბი; ნავთოპროდუქტებით დაბინძურებული წყლების მიმდები და გადამამუშავებული ნაგებობები.

როდესაც გემი ძლიერ დაზიანებულია და სწრაფი რემონტი შეუძლებელია, ხდება დაღვრილი ნავთობის ფართის შემოდობვა ბონებით. ბონებით შემოიღობება არა მარტო ავარული ფართობი, არამედ ის ადგილებიც, სადაც შესაძლებელია ნავთობის დაღვრა.

ნავთობისა და ნავთოპროდუქტების მოცილება ზედაპირიდან საკმაოდ ძნელია იმის გამო, რომ დაღვრილი ნავთობი იშლება დიდ ფართზე თხელ ფენად, რომლის სისქე შეიძლება იცვლებოდეს რამდენიმე სანტიმეტრიდან მონომოლეკულურ შრემდე. ნავთობით დაბინძურების სხვადასხვაობამ განაპირობა მრავალრიცხოვანი გამწმენდი ნაგებობების, კონსტრუქციებისა და გაწმენდის ტექნოლოგიების შექმნა [6,19].

ნავთობის მოპოვების ადგილიდან, გადამუშავებისა და მოხმარების ადგილამდე მისი გადაზიდვის ზრდასთან ერთად გახშირდა დიდტონაჟიანი ტანკერების მძიმე ავარიები (შეჯახებები, მეჩეჩებზე შეჯდომები, აფეთქებები, ხანძრები), რომლებმაც გამოიწვია ნავთობის ზღვაში ჩაღვრა [17,20].

გაეროს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ 1973 წელს მიიღო კონვენცია MARPOL 73/78, რომელშიც განსაზღვრულია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების ტექნიკური მოთხოვნები [8,14].

პორტებში და გემსარემონტო ქარხნების აკვატორიებში გათვალისწინებული უნდა იყოს: 1. ავარიების შემთხვევაში დაღვრილი ნავთობის ლოკალიზაციისა და შეკრების დონისძიებები და ტექნიკური საშუალებები; 2. დაბინძურებული ჩამდინარე წყლების მოხვედრის, მკვრივი საყოფაცხოვრებო საზღვაო გარემოს დაბინძურების აღკვეთის დონისძიებები და ტექნიკური საქართველოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული:

– საქართველოს კანონში საზღვაო სივრცის შესახებ [22] მეცხრე თავი მთლიანად ეხება ზღვის გარემოს დაცვას საქართველოს საზღვაო სივრცეში [22].

საქართველო აქტიურად მონაწილეობს საზღვაო გარემოს დაბინძურების შესახებ მოქმედ საერთაშორისო კონვენციებში.

1. საერთაშორისო კონფერენცია „ხომალდებიდან დაბინძურების აღკვეთის შესახებ 1973 წ. – 1978 წ. ოქმი საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 15.11. 1993 წ.

2. ნავთობით დაბინძურების შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციისათვის საერთაშორისო ფონდის შექმნის შესახებ 18.11. 1971 წ. – საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 18.04.2001 წ.

3. „ზღვის ნავთობით გაჭუჭყიანების შემთხვევაში მზადყოფნის და თანამშრომლობის შესახებ“. 1990 წლის საერთაშორისო კონვენცია – საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 09.09. 1995 წ.

4. „ნარჩენების გადაყრით ზღვის დაბინძურების და სხვა საკითხების შესახებ“, 1972 წლის საერთაშორისო კონვენციის 1996 წლის ოქმი – საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 24.03.2006 წ.

5. „გემების ბალასტური წყლის და დანალექების კონტროლისა და მართვის შესახებ“, 2004 წლის საერთაშორისო კონვენცია – საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 31.10.2014 წ.

### 3. დასპბნა

გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) 1973 წელს მიიღო კონვენცია გემებიდან საზღვაო გარემოს დაბინძურების შესახებ, MARPOL 73/78, რომელშიც განსაზღვრულია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების ტექნიკური მოთხოვნები. კონვენცია შეიცავს დონისძიებებს და წესებს, რომლებიც მიმართულია გემებიდან დაბინძურების აღკვეთისა და მინიმიზაციისაკენ.

საზღვაო ობიექტების დაპროექტებისას შესაბამისი ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებულები არიან გაითვალისწინონ დონისძიებები, რომლებიც გამორიცხავს მომავალი საწარმოს თუ ნაგებობის მიერ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას.

საზღვაო პორტებში გათვალისწინებული უნდა იყოს:

1. ავარიების შემთხვევაში დაღვრილი ნავთობის ლოკალიზაციისა და შეგრძნების დონისძიებები და ტექნიკური საშუალებები;

2. სხვადასხვა მავნე ნივთირებების და დაბინძურებული ჩამდინარე წყლების მოხვედრის, მკვრივი საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების გადაყრის აღმკვეთი დონისძიებები.

Саზღვაო გარემოს დაბინძურების აღმკვეთი ღონისძიებებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონვენციებში საქართველოს აქტიური ჩართვა და აღნიშნული კონვენციების მოთხოვნებისა და რეკომენდაციების ზუსტი შესრულება უზრუნველყოფს:

- Саზღვაო უსაფრთხოების და ეფექტურობის ამაღლებას;
  - შესაბამისი ორგანოების მიერ საზღვაო ინციდენტებზე და შემთხვევებზე სწრაფ რეაგირებას;
  - გემებიდან ზღვის გარემოს პოტენციური დაბინძურების აღმოჩენას და პრევენციას;
- ნაოსნობის უსაფრთხოების და საზღვაო გარემოს დაცვას.

#### ლიტერატურა

1. Короткий Т.Р. Международно-правовая охрана морской среды от загрязнения с судов. Одесса: «Логстар», 2002 г.
2. Сокиркин В.А., Шитарев В.С. Международное морское право. Часть 6. Международное морское экологическое право. М., 2009 г.
3. Международное право: учебник/отв.ред. К.В. Игнатенко и О.И. Таупов, 5-е издание, М. Нарма, 2009 г, 784 с.
4. Конвенция ООН по морскому праву – 1982 г. Подписана в Ямайском городе Монтего-Бей. декабрь 1982 г. Вступила в действие 16.11. 1994 г.
5. Леонов В.Е., Ходаковский В.Ф., Куликова Н.Б. Основы экологии и охрана окружающей среды. Изд. Херсонского Г.М.И., 2010 г. – 352 с.
6. Международная конвенция по предотвращению загрязнения моря нефтью. Лондон, 12.05. 1954 г.
7. Конвенция ООН по предотвращению загрязнения моря сбросами отходов и других материалов. Лондон, 29.12. 1972 г.
8. MARPOL Consolidated Edition 2006 / International Maritime Organization / London< 2006.
9. Заицев Ю.П. Введение в экологию Чёрного моря, Одесса: «Эвен», 2006, 224 с.
10. Международная конвенция относительно вмешательства в открытом море в случаях Международной организации. Протокол от 2.11. 1973 г. о вмешательстве в открытом море в случаях загрязнения веществами, иными чем нефть. Лондон, 02.11. 1973 г.

11. РД 31.04.01-90 Правила ведения работ по очистке загрязненных акваторий портов.  
Введены 01.01.1991 г. Дата актуализации 01.02.2013 г.
12. Международная конвенция по предотвращению загрязнения с судов (MARPOL 73/78),  
Санкт-Петербург АД «ЦНИИ МФ», 2017 г.- 824 с.
13. International Convention for the prevention of pollution from ships, MARPOL 73/78, 1973,  
Sesworebebi da cvlilebebi 26.09. 1997.
14. Михрин Л.М. Предотвращение загрязнения морской среды с судов и морских сооружений. СПБ, 2005 г.
15. Феленберг Г, Загрязнение природной среды, М., 1997.- 232 с.
16. Международное руководство по безопасности для танкеров и терминалов (ISGOTT, )  
Санкт-Петербург ЗАО, «ЦНИИМР», 2007 г. 504 с.
17. РД 31.4.23-94. Наставление по предотвращению загрязнения с судов, Санкт-Петербург,  
1994 г. 114 с.
18. Технологическое оборудование при ликвидации аварийных разливов нефти сорбентами.  
Ж. Горный инф.анал. бюллетень ГИАБ, 2013, №4(1), с. 56-61.
19. Маценко С.В. О вероятности крупномасштабных аварий танкеров в морских портах.  
Эксплуатация морского транспорта. Санкт-Петербург. ГМА им. адм. С.О. Макарова,  
2009, вып. 2(56), с. 69-72.
20. Смирнов Г.Н. Порты и портовые сооружения, Изд. АСВ, М., 2003.- 464 с.
21. საქართველოს კანონი საზღვაო სივრცის გესახებ, საქართველოს პრეზიდენტი,  
თბილისი, 1998 წ., 24 დეკემბერი, №1761-მს.

შავ 627.5

## მსოფლიო პორტების განვითარების ფაზების და პერსავანტიგები

### ა. საყვარელიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია საზღვაო პორტების განვითარება რეგიონების გაში და მათი შემდგომი პერსპექტივები. მხოლოდ 20 უდიდესი პორტის და საკონტეინერო ოპერატორების მუშაობის ანალიზია (2015 წ.) აჩვენა, რომ მათი მთლიანი ტვირთბრუნვა შედარებით დაბალია მხოლოდ ეკონომიკის და გაჭრობის ზრდის მაჩვენებელზე. ტვირთბრუნვის შემცირება აღინიშნებოდა მხოლოდ შვიდ უდიდეს პორტში (6 მათგანი ჩინეთშია განლაგებული) და ექვს საკონტეინერო უდიდეს ტერმინალში (2 ჩინური). გაერთს პროგნოზით 2017÷2022 წწ. პერიოდში სატვირთო გადაზიდვების საშუალო წლიური მატება იქნება 3.2%. გადაზიდვების ზრდა მოხალოდნებით ყველა სექტორში, მათ შორის ყველაზე დინამიკური ზრდა იქნება საკონტეინერო (5,0%) და მშრალი ტვირთების (5,6%) გადაზიდვებში.

**საკვანძო სიტყვები:** მხოლოდ ეკონომიკა, მხოლოდ გაჭრობა, საზღვაო ტრანსპორტი, საზღვაო პორტი, საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები, პორტის ტვირთბრუნვა.

### 1. შესავალი

საზღვაო პორტები წარმოადგენს ძირითად რგოლს მსოფლიო სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირებაში.

საზღვაო პორტები, როგორც სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტები ნაციონალური ეკონომიკის ბალანსირებული და მდგრადი განვითარების საფუძველია.

პორტები და მათი განვითარების დონე ასახავს ქვეყნის ინტეგრაციის ხარისხს მატერიალური რესურსებისა და მზა პროდუქციის ნაკადების განაწილების გლობალურ სისტემაში.

მსოფლიო ვაჭრობის ძირითადი ნაკადი კონცენტრირებულია XXI საუკუნის გეოსტრატეგიულ სამკუთხედში: 1. ევროპაგშირის ქვეყნები; 2. აზია – წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნები; 3. ჩრდილო-ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონის (North American Free Trade Agreement - NAFTA) ქვეყნები [1].

საზღვაო ტრანსპორტი ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელია სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის. პორტები ასრულებენ ტვირთნაკადების სატრანსპორტო უზრუნველყოფის პროგანდერის ფუნქციებს [2]. გარდა ამისა პორტები უზრუნველყოფენ სხვადასხვა ქვეყნების მონაწილეობის შესაძლებლობას ყოველმხრივ სავაჭრო პატნიორობაში.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციამ (UNCTAD – United Nations Conference on Trade and Development) 2014 წელს [3] მსოფლიო პორტების ფუნქციონირების ანალიზით განსაზღვრა საპორტო საქმიანობის განვითარების ძირითადი ტენდენციები:

- განსაკუთრებული საპორტო ეკონომიკური ზონების – თავისუფალი საბაჟო ზონების შექმნა და განვითარება;
- პორტების გამტანუნარიანობის გაზრდა ლოგისტიკის მაღალი დონის მეშვეობით;
- პორტების დანადგარების მოდერნიზაცია გემების მომსახურების ნაწილში (განსაკუთრებით – კონტეინერების გადამზიდი გემების);
- „მწვანე“ ტექნოლოგიის გამოყენება საერთაშორისო ეკოლოგიური და ენერგოეფექტური მოთხოვნების დასაქმაყოფილებლად;
- მართვის პროცესების ავტომატიზაცია და საინფორმაციო სისტემების აქტიური გამოყენება მათი შემდგომი ინტეგრაციით მიწოდების მართვის გლობალურ სისტემებში.

## 2. მიზანთაღი ნაშილი

ტვირთების ნაკადების განაწილებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნები, როგორც მატერიალური ნაკადების ფორმირების წყარო.

მსოფლიო პორტების განვითარების ტენდენციებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რეგიონის პორტები, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ მათი დიდი ნაწილი მუდმივად ახდენს ინვესტიციური პროექტების რეალიზებას ტერმინალების მოდერნიზაციაში.

გაეროს საზღვაო ტრანსპორტის მიმოხილვაში [4] ნაჩვენებია, რომ 2015 წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპი 2014 წლის მიმართ იყო ისეთივე, როგორც 2014 წლის ზრდის ტემპი 2013 წლის მიმართ, რაც შეადგენს 2.5%. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზრდის ტემპი 2014÷2015 წლებში იყო 1.7%÷2.0%, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ზრდის ტემპმა დაიკლო 4.4%-დან 3.9%-მდე.

ამ პერიოდში ჩინეთში აღინიშნა ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირება 7.3%-დან (2014წ.) 6.9%-მდე (2014წ.). ინდოეთში პირიქით, აღინიშნებოდა ზრდა 7.0%-დან 7.2%-მდე. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 2014 წელს მცირე მატება (0.9%) შეიცვალა შემცირებით – 2.8% (2015 წ.).

2015 წელს მსოფლიო საქონლის ვაჭრობა ვითარდებოდა დაბალ ტემპებში – მატება 1.5% 2014 წელთან შედარებით. განვითარებული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მატების არსებულმა ტენდენციამ ვერ შეძლო ამ მაჩვენებლის მკვეთრი ვარდნის კომპენსაცია განვითარებად ქვეყნებში.

განვითარებული ქვეყნების საგარეო ვაჭრობა 1.9%-დან გაიზარდა 2.2%-მდე, ხოლო განვითარებად ქვეყნებში მაჩვენებელმა დაიწია 3.1%-დან 0.4%-მდე.

მსოფლიო ექსპორტის მატების ტემპის შემცირება უარყოფითად დაეტყო საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების მოცულობებს 2015 წელს. ამ მომატების ზრდის ტემპმა შეადგინა 2.1%, რაც უფრო დაბალია 2014 წლის მაჩვენებლებზე 3.4%-ით.

2013 წლიდან არსებობს მდგრადი კორელაცია მსოფლიო ექსპორტის ვარდნასა და საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების შემცირებას შორის. ის ფაქტი, რომ მსოფლიო საქონლის ექსპორტი ვითარდება უფრო დაბალი ტემპით, ვიდრე მსოფლიოს ეკონომიკა, ნიშნავს, რომ მსოფლიო ვაჭრობა თანდათან კარგავს ეკონომიკური, განვითარების ძირითადი კატალიზატორის როლს.

გაეროს საზღვაო ტრანსპორტის მიმოხილვებში [4] აღნიშნულია, რომ მსოფლიოს ყველა პორტების მუშაობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მიღება დაკავშირებულია მნიშვნელოვან სიძნეებთან. ეს მონაცემები ხელს უწყობს პორტების მუშაობის გაუმჯობესებას; მათი ეფექტურობის გაზრდას; სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას და სავაჭრო საქონლის გაიაფებას, რაც დამატებითი იმულსია მსოფლიო ვაჭრობის განვითარებისთვის.

### ცხრილი 1

#### **მსოფლიოს 20 უდიდესი პორტი ტვირთების გადაზიდვის მოცულობის მიხედვით 2013-2015 წწ. (ათასი ტონა) [4] გვ.71**

№	პორტი	ქვეყანა	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	ზრდის ტემპი	
						2014/ 2013 %	
1	ნინბო	ჩინეთი	809800	873000	889000	7.80	
2	შანსაი	ჩინეთი	776000	755300	717400	-2.67	
3	სინგაპური	სინგაპური	560800	581000	574900	3.66	
4	ტიანცზინი	ჩინეთი	500600	540000	541000	7.87	
5	სუნჯოუ	ჩინეთი	454000	480000	540000	5.73	
6	გუანჩჯოუ	ჩინეთი	454700	500400	519900	10.05	
7	ცინდაო	ჩინეთი	450000	480000	500000	6.67	
8	ტანშანი	ჩინეთი	446200	500800	490000	12.24	
9	როტერდამი	ნიდერლანდები	440500	444700	466400	0.95	
10	პორტი ჰედლენდი	ავსტრალია	326000	421800	452900	29.39	
11	დალიანი	ჩინეთი	408400	420000	415000	2.84	
12	ჯინჯაო	ჩინეთი	309200	353000	361000	14.17	
13	ინჯოუ	ჩინეთი	330000	330700	338500	0.21	
14	პუსანი	რესპუბლიკა კორეა	292400	312000	323700	6.70	
15	სამხრეთ ლუიზიანა	აშშ	241500	264700	265600	9.61	
16	პონგკონგი	ჩინეთი	276100	297700	256600	7.82	
17	ცინცუანდაო	ჩინეთი	272600	274000	253000	0.51	
18	პორტი კლანგი	მალაიზია	200200	217200	219800	8.43	
19	შენჩვენი	ჩინეთი	234000	223000	217100	-4.57	
20	სამინი	ჩინეთი	191000	205000	210000	7.33	
<b>სულ 20 უდიდესი პორტი</b>			7974000	8474900	8551900	6.28	

UNCTAD-ის 2015 წლის სტატისტიკის თანახმად [2] მსოფლიო საპორტო დარგში შეინიშნება მნიშვნელოვანი ვარდნა (ცხრილი 1). 2015 წელს 20 უდიდესი პორტის ტვირთების გადაზიდვის საერთო მოცულობის ზრდა 2014 წელთან შედარებით შეადგენს  $\approx 1\%$  (0.91%), რაც მნიშვნელოვნად დაბალია 2014 წლის მონაცემებზე. 2014 წელს ტვირთების გადაზიდვის ტემპი 2013 წელთან შედარებით იყო 6.28%.

20 უდიდესი პორტიდან 14 მდებარეობს ჩინეთში, კიდევ 3 აზიაში, თითო-თითო ავსტრალიაში, ევროპასა და ჩრდილო ამრიკაში. 7 უდიდეს პორტში აღინიშნება ტვირთბრუნვის შემცირება. 6 მათგანი ჩინეთშია, 1 სინგაპურში.

ტვირთების გადატანის მოცულობის მიხედვით მსოფლიოს სიდიდით მეორე შანხაის პორტში აღინიშნება ტვირთბრუნვის შემცირება. 2014 წელს ვარდნამ შეადგინა 2.74%, 2015 წელს – 5.28%.

ტვირთბრუნვის ყველაზე მკვეთრი ვარდნა მოხდა პონგკონგში – 297.7 მილიონ ტონიდან 2014 წელს; 256.6 მილიონ ტონამდე 2015 წ. (ვარდნა 13.81%). მაქსიმალური მატების ტემპი აღინიშნა ჩინეთის პორტში – სუნჯოუ (12.5%). ავსტრალიის პორტმა ჰედლენდმა გაზარდა მონაცემები 7.3%-ით, ხოლო როტერდამმა (ნიდერლანდები) – 4.88%-ით, რაც დაკავშირებულია ნედლი ნავთობის და ოხევადი გაზის მიწოდების გაზრდასთან.

საკონტეინერო გადაზიდვებზე [2,4] მოდის ყველა საერთაშორისო გადაზიდვების მოცულობის ნახევარზე მეტი (ფასების მიხედვით) და დაახლოებით ერთი მე-ექსედი ნაწილი მათი ფიზიკური მოცულობისა. კონტეინერებში გადაიზიდება ყველაზე განსხვავებული სხვადასხვა სახის ტვირთები: ჯართიდან, ნედლეულიდან და ნახევარფაბრიკატებიდან დაწყებული, მზა პროდუქციამდე. კონტეინერების ფართო დანერგვა აისხება პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობით.

საზღვაო გადაზიდვების კონტეინერიზაცია ხელს უწყობს ტვირთების დამუშავების დროის შემცირებას, აადვილებს გადატვირთვას ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეზე.

საკონტეინერო გადაზიდვების ხვედრითი წონა ქვეყნის პორტების საერთო ტვირთბრუნვის მოცულობაში წარმოადგენს ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობაში დონის მაჩვენებელს [4].

2016 წელს საზღვაო ტრანსპორტის ანალიზის [4] UNCTAD-ის ანგარიშში (ცხრილი 2) მოცემულია მსოფლიოს 20 უდიდესი საკონტეინერო პორტების ტვირთ-

ბრუნვის მონაცემები 2013–2015 წლებში: გადაზიდვა 20-ფუტიან საზღვაო კონტეინერებში TEU.

ამ 20 პორტის წილად მოდის 100 საერთაშორისო წამყვანი ოპერატორის ტვირთბრუნვის ნახევარზე მეტი (58% – 2015 წ.). ცხრილის და UNCTAD-ის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მათი (20 პორტი) ერთიანი საკონტეინერო ბრუნვა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა მცირედ 0.54%. 310 877 000 TEU–2014 წ. და 312 546 000 TEU–2015 წ. (ცხრილი 2).

2014 წელს ამ მონაცემების მატება წინა 2013 წელთან შედარებით იყო 5.68%. ტვირთბრუნვა გაიზარდა 294 245 000 TEU-დან 310 877 000 TEU-მდე (ცხრილი 2).

მსოფლიოს უდიდეს საკონტეინერო ტერმინალებში შედის 15 პორტი განვითარებადი ქვეყნებიდან (ყველა მდებარეობს აზიაში), 5 განვითარებულ ქვეყნებში: 3 პორტი ევროპაში – ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია და 2 ჩრდილოეთ ამერიკაში – ლოს ანჯელესი და ლონგ ბიჩი (კალიფორნიის შტატი).

პირველი 10 უდიდესი პორტის განლაგება აზიაში ამტკიცებს ამ რეგიონის განსაკუთრებულ როლს შრომის საერთაშორისო დაყოფაში და ნახევარფაბრიკატებით და მზა პროდუქციით ვაჭრობაში: მათი ეფექტურობის გაზრდას; სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას და სავაჭრო საქონლის გაიაფებას, რაც დამატებითი იმპულსია მსოფლიო ვაჭრობის განვითარების.

## ცხრილი 2

### მსოფლიოს 20 უდიდესი საზღვაო საკონტროლო ტერმინალი და მათი ტვირთბრუნვა 2013–2015წ. (ათასი TEU), [4]

№	პორტი	ძველანა	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	ზრდის ტემპები	
						2014/2013 %	2015/2014 %
1	შანსაი	ჩინეთი	33617	35290	36540	4.98	3.54
2	სინგაპური	სინგაპური	32579	33869	30922	3.96	-8.70
3	შენჩხენი	ჩინეთი	23279	24040	24200	3.27	0.67
4	ნინბო	ჩინეთი	17351	19450	20630	12.10	6.07
5	ჰონგკონგი	ჩინეთი	22352	22200	20100	-0.68	-9.46
6	ჰასანი	რესპ. კორეა	17686	18683	19467	5.64	4.20
7	გუანჩოუ	ჩინეთი	15309	16610	17590	8.50	5.90
8	ცინდაო	ჩინეთი	15520	16580	17430	6.83	5.13
9	დუბაის პორტები	გაერთიანებული ემირატები	13641	15200	15590	11.43	2.57

## გაგრძელება

10	ტიანცზინი	ჩინეთი	13000	14060	14110	8.15	0.36
11	როტერდამი	ნიდერლანდები	11621	12298	12235	5.83	-0.51
12	პორტკლანგი	მალაიზია	10350	10946	11887	5.76	8.60
13	გაოსიუნი	ტაივანი	9938	10593	10260	6.59	-3.14
14	ანტვერპენი	ბელგია	8578	8978	9654	4.66	7.53
15	დალიანი	ჩინეთი	10015	10130	9450	1.15	-6.71
16	სამინი	ჩინეთი	8008	8572	9180	7.04	7.09
17	ტანჯუნგპელასრი	მალაიზია	7628	8500	9130	11.43	7.41
18	ჰამბურგი	გერმანია	9257	9720	8821	5.00	-9.25
19	ლოსანჯელესი	აშშ	7868	8340	8160	6.00	-2.11
20	ლენგ ბიჩი	აშშ	6648	6818	7190	2.56	5.41
<b>სულ 20 საკონტეინერო ტერმინალი</b>			294245	310877	312546	5.65	0.54

20 უდიდესი საკონტეინერო პორტიდან 9 მდებარეობს ჩინეთში და აქედან შვიდს (დალიანის და პონგკონგის გამოკლებით) აქვს ტვირთბრუნვის ზრდა მიუხედავად იმისა, რომ შანხაის პორტის ტვირთბრუნვა 2015 წელს შემცირდა 2014 წლის ინტენსივობასთან შედარებით ( $3.54\% - 2015 \text{ წ.}$ ;  $4.98\% - 2014 \text{ წ.}$ ).

2013 წელს პორტმა შენჯუნმა პირველად დაიკავა მესამე ადგილი მსოფლიოში, ჩაანაცვლა პონგკონგი და შეინარჩუნა ეს პოზიცია 2014-2015 წწ. ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება ტვირთბრუნვის მატების 2015 წ., შედარებით 2014 წელთან, მოხდა პონგკონგში, ჰამბურგსა და სინგაპურში – შესაბამისად  $9.46\%$ ,  $9.25\%$  და  $8.7\%$ . ტვირთბრუნვის ყველაზე მნიშვნელოვანი მატება კი შეინიშნებოდა პორტკლანგში, ანტვერპენში და ტანჯუნგპელასრი, შესაბამისად  $8.6\%$ ,  $7.53\%$  და  $7.41\%$  (ცხრ. 2).

ჩინეთის 9 უდიდესი საკონტეინერო ტერმინალების საკონტეინერო ბრუნვა 2015 წ. იყო 169 230 000 TEU, რაც შეადგენს მთლიანი მსოფლიო საკონტეინერო ბრუნვის  $54.15\%$ .

ჩინეთის ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ, ექსპორტის ზრდამ მოითხოვა ტვირთების გადაზიდვისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა ამერიკის, ევროპის, ავსტრალიის და სხვა უცხოურ ბაზრებზე.

ჩინეთიდან ექსპორტირებული მოცულობები სულ უფრო იზრდებოდა 483 მილიონი ტონიდან (1990 წლიდან), 2.5 მილიარდ ტონამდე (2015 წ.).

UNCTAD-ის პროგნოზით 2018-2022 წწ. პერიოდში საშუალო წლიური ტემპი სატვირთო გადაზიდვების მატების იქნება 3.2%. გადაზიდვების ზრდა მოსალოდნებლია ყველა სექტორში, მათ შორის ყველაზე დინამიკური ზრდა იქნება საკონტენერო გადაზიდვებში (5.0% წლიური და მასობრივი ტვირთების გადაზიდვებში (5.6% წლიური და ბაზის ტემპის 1.2%-იანი ზრდა წლიური და რაც ნავთობპროდუქტებისა და გაზის 1.7%-ს შეადგენს [6].

### 3. დასპანა

დღეისათვის განვითარებადი ქვეყნები გახდნენ სამრეწველო პროცესების საერთაშორისო დაყოფის სისტემის აქტიური მონაწილეები. ნედლეულის იმპორტიორებიდან ისინი გახდნენ ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის მსხვილი ექსპორტიორები.

განვითარებადი ქვეყნების წილი ერთიანი მსოფლიო პორტების ტვირთბრუნვაში შეადგენს 70%-ზე მეტს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მათი როლი მსოფლიო ეკონომიკაში და ვაჭრობაში იზრდება.

ქვეყნები ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბაზრებით წარმოადგენენ მსოფლიო მოთხოვნების მთავარ სტიმულს. ისინი არიან საზღვაო გადაზიდვების და საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების მოთხოვნის ლოკომოტივი.

### ლიტერატურა

1. Angeles villareal (2010) NAFTA and the Mexican Economy Federation of American Sintists Congressional Research Service RL 34733.
2. Review of Maritime Transport, 2014 UN, Publication. New York 9.03. 2015.-134p.
3. UNCTAD, world investment 2014, UN New York and Geneva.-264 p.
4. Review of Maritime Transport, 2016. UN (UNCTAD), Geneva, November, 2016.- 118p.
5. CIRCA (2008) Glossary: TEU (Twenty-foot Equivalent Unit) Yhe European Comission.
6. Review of Maritime Transport, 2017. UNCTAD, UN New York and Geneva, 2017.- 130 p.

შაგ 697.1 (0.753)

## შენობათა ენერგოეფექტური ცხელი წყალმომარაგების სისტემები

მ. გრძელიშვილი, ა. კოპალიანი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია შენობათა ცხელი წყალმომარაგება განახლებადი ენერგიის ბაზაზე. განხილულია წყლის გაცხელება მზის ბატარეულისა და შესაბამისად მოცულობითი აკუმულირებადი ელექტრო-წყალგამაცხელებ-ლების საშუალებით და ცხელი წყლის თბური ტუბოებით. შესწავლი-ლია წყლის გაცხელების პირობები სავენტილაციო გამონაბოლქვებიდან თბური ენერგიის უზილიზაციით, დამუშავებულია ბინის ვენტილაციისა და ცხელი წყალმომარაგების ერთიანი სისტემა.

**საკვანძო სიტყვები:** თბური ენერგია, ცხელი წყალი, მზის თბომომარაგება, თბური ტუბი, ვენტილაცია, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგია, განაწილებული გენერაცია.

### 1. შესავალი

თანამედროვე სამოქალაქო მშენებლობაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა შენობათა ენერგოეფექტური საინჟინრო სისტემებით აღჭურვას. ცნობილია, რომ ქვეყანაში გამომუშავებული ენერგიის თითქმის ნახევარი შენობა-ნაგებობებზე მოდის, რომელთაგან 77% ხმარდება შენობათა გათბობას, ხოლო 12% – ცხელ წყალ-მომარაგებას. ენერგომოხმარების ესოდენ დიდი რაოდენობა გვაიძულებს ვეძიოთ გზები მის შესამცირებლად და წიაღისეული სათბობის მთლიანად ალტერნატიული ენერგიით ჩასანაცვლებლად.

## 2. მიზანთაღი ნაწილი

შენობათა ენერგოეფექტური საინჟინრო სისტემებით აღჭურვა ენერგოეფექტური მშენებლობის ნაწილია და გულისხმობს შენობათა აღჭურვას გათბობის, ვენტილაციის, ჰაერის კონდიცირების და ცხელი წყალმომარაგების ენერგოეფექტური სისტემებით.

ენერგოეფექტური არის ის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ შენობათა კომფორტის პირობებს ენერგიის შესაძლო მინიმალური დანახარჯებით.

შენობათა ენერგოეფექტურობა რომ მსოფლიო დონის სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემაა, მოწმობს ევროკავშირის მიერ შემუშავებული დირექტივა (Directive of the energy performance of buildings, EPBD), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ძირითად საკანონმდებლო ინსტრუმენტს ევროკავშირის სამშენებლო ფონდის ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით. ეს დირექტივა ძალაშია 2003 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები. კერძოდ, ყველა ახალ შენობას, რომელიც აშენდება ევროკავშირის ტერიტორიაზე, უნდა გააჩნდეს თითქმის ნულოვანი ენერგომოხმარება (zero-energy house). ეს დირექტივა ძალაში შედის 2020 წლის დეკემბრიდან კერძო საკუთრებაში არსებული შენობებისათვის, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებებისათვის კი – 2018 წლის დეკემბრიდან.


საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გვავალდებულებს დავიცვათ EPBD დირექტივების მოთხოვნები და გათბობისა და ცხელი წყალმომარაგებისათვის ენერგომოხმარება დავიყვანოთ მინიმუმამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ წიაღისეული ენერგორესურსების გამოყენებაზე და შენობათა ენერგომოხმარება უზრუნველვყოთ განახლებადი ენერგიის ხარჯზე. განახლებადი ენერგიის ძირითადი წყაროა მზე, რომელიც დედამიწას წელიწადში აწვდის 5000-ჯერ უფრო მეტ ენერგიას, ვიდრე ამას კაცობრიობა მოიხმარს. მზის ენერგია დიდი რაოდენობითაა აკუმულირებული ჩვენს ირგვლივ მყოფ ჰაერში, წყალსა თუ გრუნტში. მათში აკუმულირებული სითბო თბური ტუმბოების მეშვეობით ფართოდ გამოიყენება შენობათა მიკროკლიმატის უზრუნველყოფის სისტემებში.

შენობათა მიკროკლიმატის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია შენობათა ცხელი წყალმომარაგების სისტემა. დღეისათვის ცხელი წყლით უზრუნველყოფა ძირითადად წიაღისეული სათბობის (ძირითად ბუნებრივი გაზის) ხარჯზე მიმდინარეობს.

ცხელი წყალმომარაგების სისტემებში ბუნებრივი გაზის გამოყენებაზე უარის თქმა და განახლებადი ენერგიის გამოყენება ცხელი წყლის მოსამზადებლად მნიშვნელოვან წილად გაზრდის შენობათა ენერგოეფექტურობას და გააუმჯობესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

არატრადიციული ენერგიის ცხელწყალმომარაგების სისტემაში გამოყენების საუკეთესო მაგალითია მზის თბომომარაგების სისტემა, რომელიც მზის გამოსხივების საფუძველზე, მზის კოლექტორების მეშვეობით აცხელებს წყალს სასურველ ტემპერატურამდე. ეს საკითხი ჩვენ მიერ შესწავლილია და დამუშავებულია მზის ცხელი წყალმომარაგების სისტემის ანგარიშის მეთოდიკა საქართველოს პირობებისათვის [1].

ცხელი წყალმომარაგების ენერგოეფექტურ სისტემას წარმოადგენს განაწილებული გენერაციის ბაზაზე მოწყობილ შენობათა ენერგომომარაგების სისტემა [2]. შენობის სახურავზე განლაგებული მზის ბატარეები უზრუნველყოფენ შენობის სრულ ენერგომომარაგებას. ვინაიდან ნულოვანი ენერგომოხმარების სახლების გათბობის ხარჯი მინიმალურია, ამიტომ თბური ენერგიის ძირითად მომხმარებლად ითვლება ცხელი წყალმომარაგების სისტემა. სახურავზე განლაგებული მზის სისტემა უნდა შეირჩეს იმ ანგარიშით, რომ დაკმაყოფილდეს შენობის ელექტროდატვირთვა (განათება და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები) და ცხელი წყალმომარაგების თბური დატვირთვა.



ნახ. 1. სახლის ავტონომიური ენერგომომარაგების პრინციპულ-ტექნოლოგიური სქემა:

ა – ელექტროაკუმულატორებით; ბ – ელექტრო- და ცხელი წყლის აკუმულატორებით:


- 1 – ცხელი წყლის აკუმულატორი (მოცულობითი წყალგამაცხელებელი); 2 – მზის პანელები (ბატარეები); 3 – გამმართველი; 4 – ინვერტორი; 5 – ელექტროენერგიის მომხმარებლები; 6 – აკუმულატორული ბატარეები

ნახ. 1-ზე ნაჩვენებია სახლის ავტონომიური ენერგომომარაგების პრინციპულ-ტექნოლოგიური სქემა. ნახ.1-ა წარმოადგენს მზის ბატარეების საშუალებით სახლის ელექტრომომარაგების ტიპურ სქემას. ჭარბი ელექტროენერგიის შენახვის მიზნით

გამოყენებულია სპეციალური აკუმულატორები, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ევროპაშიც, საჭირო არაა, რადგანაც მზის ბატარეებში გამომუშავებული ელექტროენერგია მიეწოდება ქსელს. საქართველოში ასეთი სისტემა ჯერ არ მოქმედებს, ამიტომ იძულებული ვხდებით სისტემაში შემოვიტანოთ დამატებითი ელემენტი, აკუმულატორული ბატარეები (7).

ენერგომომარაგების ფუნქციური დანიშნულების გაუმჯობესების და ფულადი დანახარჯების შემცირების მიზნით ელექტროაკუმულატორი შეიძლება ჩანაცვლებული იქნეს მოცულობითი ელექტროწყალგამაცხელებლებით, რომლებიც დღის განმავლობაში გააცხელებენ წყალს, ხოლო საჭირო რაოდენობის ელექტროაკუმულატორები მოახდენენ ელექტროენერგიის აკუმულირებას (ნახ. 1<sup>ბ</sup>).

წყალგამაცხელებლების მოცულობა, გამდინარე წყლის ხარჯი და ელექტროგამხურებლის სიმძლავრე უნდა შეირჩეს კონკრეტული შენობის ენერგომახასიათებლების და მშენებლობის ადგილმდებარეობის მიხედვით.



ნახ. 2. მოცულობით წყალგამაცხელებელში წყლის გაცხელების პერიოდი ექტროგამხურებლის სიმძლავრის მიხედვით

წყლის გაცხელების მიზნით ენერგომომარაგების ავტონომიურ სისტემაში, რომელშიც ცხელი წყლის მომზადება მზის ბატარეებით ხდება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მოცულობითი ტიპის ელექტრო-წყალგამაცხელებელი. დღის განმავლობაში ფოტოელემენტების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ხარჯზე ხდება წყლის გაცხელება.

წყლის გაცხელების დრო გამოითვლება ფორმულით:

$$t = \frac{mc(t_{gb} - t_{g0})}{P\mu}, \quad (1)$$

სადაც  $m$  არის გასაცხელებელი წყლის რაოდნობა კგ-ობით;  $c$  – წყლის თბოტევა-დობა და იგი შეადგენს 1.163 გტ.სთ/კგ·გრ-ს;  $t_{\text{cb}}$  და  $t_{\text{co3}}$  – შესაბამისად გასაცხელებელი წყლის საწყისი და საბოლოო ტემპერატურები,  $^{\circ}\text{C}$ ;  $\mu$  – წყალგამაცხელებლის მქა და იგი ელექტროგამაცხელებლისათვის 0.98-ის ტოლი აიღება.

მოცულობით წყალგამაცხელებელში წყლის გაცხელების დრო ცალსახად არის დამოკიდებული ელექტროსახურებელი ელემენტის სიმძლავრეზე. რაც მეტია ეს სიმძლავრე, მით უფრო სწრაფად გაცხელდება წყალი საჭირო ტემპერატურამდე.

წყლის გაცხელების დრო სხვადასხვა მოცულობის ელექტროგამაცხელებელში, სახურებელი ელემენტის სიმძლავრის მიხედვით, როდესაც ცივი წყლის ტემპერატურა  $10^{\circ}\text{C}$  ტოლია, ნაჩვენებია გრაფიკზე (ნახ. 2).

მოცულობითი წყალგამაცხელებლის შერჩევის დროს საჭიროა გავიგოთ ნარევი წყლის რაოდენობა და ტემპერატურა.

ნარევი წყლის რაოდენობა ტოლია:

$$m_{\text{ნარ}} = \frac{m_{\text{co3}}(t_{\text{co3}} - t_{\text{cb}})}{t_{\text{ნარ}} - t_{\text{co3}}}, \quad (2)$$

ხოლო ტემპერატურა:

$$t_{\text{ნარ}} = \frac{m_{\text{co3}}t_{\text{co3}} + m_{\text{cb}}t_{\text{cb}}}{m_{\text{co3}} + m_{\text{cb}}}, \quad (3)$$

სადაც  $m$  არის წყლის რაოდნობა კგ-ობით;  $t$  – ტემპერატურა,  $^{\circ}\text{C}$ .

წყალგამაცხელებლის ხარჯი, ანუ მწარმოებლობა განისაზღვრება ფორმულით:

$$G = \frac{P}{C(t_{\text{cb}} - t_{\text{co3}})} \text{ კგ/სთ (ნ/სთ)}, \quad (4)$$


სადაც  $P$  არის სახურებელი ელემენტის სიმძლავრე, გტ;  $C$  – წყლის ხელიდრითი თბოტევადობა და იგი ტოლია 1.163 გტ.სთ/კგ·გრ-ია.

ცხელი წყალმომარაგების სისტემების ანგარიშის დროს წყლის ხარჯი წინასწარ ცნობილი სიდიდეა და იგი მომხმარებლის სახეობის მიხედვით აიღება ნორმებიდან [4].

ცხელი წყალმომარაგების ზემოთ განხილული სისტემა, რომელიც იკვებება მზის ფოტოელემენტებიანი ბატარეულიდან მიღებული ელექტროენერგიის ხარჯზე,

მიზანშეწონილია გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, თუ ეს წყალგამაცხელებელი უკვე არსებობს ცხელი წყალმომარაგების სისტემაში და მისი გამოცვლა ან გადაკეთება ვერ ხერხდება.

ცხელი წყალმომარაგების სისტემაში მზის ენერგიის გამოყენების დროს მზის ბატარების ნაცვლად უმჯობესია მზის კოლექტორების გამოყენება, რომლებიც მზის ენერგიას უშუალოდ წყლის გასაცხელებლად იყენებს [1]. იმ შემთხვევაში კი, როდესაც წყლის გასაცხელებლად დაბალპოტენციური ან გადაგდებული სითბოთი ვსარგებლობთ, მიზანშეწონილია მზის ფოტოელემენტების გამოყენება. ამ დროს მიღებული ელექტროენერგია წყალგამაცხელებელში ჩაშენებული თბური ტუმბოს ასამოქმედებლადაა საჭირო.




ნახ. 3. ცხელი წყლის თბური ტუმბოს მოქმედების პრინციპი:

1 – მოცულობითი წყალგამაცხელებელი; 2 – თბური ტუმბო

ასეთი წყალგამაცხელებლის პრინციპულ-ტექნოლოგიური სქემა ნაჩვენებია ნახ. 3-ზე. ეს წყალგამაცხელებელი მუშაობს სითბოს უტილიზატორის პრინციპზე და გამოიყენება წყლის გასაცხელებლად ინდივიდუალური ბინის პირობებში. წყალგამაცხელებელს გააჩნია საკმაოდ მაღალი მწარმოებლობა და წყლის გაცხელების ორსაფეხურიანი სისტემა. პირველ საფეხურზე თბური ტუმბოს მეშვეობით წყალი ცხელდება  $5.5^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო მეორე საფეხურზე კი სპეციალური ელექტროგამახურებლის საშუალებით –  $65^{\circ}\text{C}$ -მდე, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა წყლის დეზინფექციის მიზნით. ასეთი დანადგარის სიმძლავრის (გარდაქმნის) კოე-

ფიციენტი  $KOP=4$ , თანახმად EN255-ისა. ეს დანადგარი შეიძლება მოეწყოს, როგორც მონობლოკის, ასევე სპლიტის სახით. უკნასკნელ შემთხვევაში თბური ტუმბოს ნაწილი (ამაორთქლებელი, კომპრესორი) შეიძლება მოეწყოს წყალგამაცხელებლი-დან მოცილებით. წყალგამაცხელებლის ენერგოეფექტურობის კლასი უმაღლესია და იგი  $A^+$ -ით არის სერტიფიცირებული.

ცხელწყალმომარაგების სისტემის ენერგოეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთი გზაა ნარჩენი ან გადაგდებული სითბოს გამოყენება. შენობაში სითბოს ასეთი წყა-როა კანალიზაციის ჩამდინარე წყლები [3] ან სავენტილაციო გამონაბოლქვები. ნახ. 4-ზე ნაჩვენებია ბინის ცხელწყალმომარაგების ავტონომიური სისტემა, რომელშიც თბური ენერგიის წყაროდ გამოყენებულია გამწოვი სავენტილაციო სისტემის ჰაერი.



ნახ. 4. ბინის ცხელი წყალმომარაგება სავენტილაციო გამონაბოლქვების სითბოს უტილიზაციის ხარჯზე: 1 – ბინაში ჰაერის მიწოდება; 2 – ჰაერის გამწოვი სისტემა; 3 – მოცულობითი წყალგამაცხელებელი ჩაშენებული თბური ტუმბოთი

სამზარეულოდან, სააბაზანოდან და სხვა დამხმარე საოთავსოდან გაწოვილი ჰაე-რი საკმაოდ მაღალი ტემპერატურისაა ( $22-30^\circ\text{C}$ ). მისი რაოდენობა კი ( $150-250 \text{ მ}^3/\text{სთ}$ ) სავსებით საკმარისია წყლის გასაცხელებლად.

10-დან  $55^\circ\text{C}$ -მდე მოცულობით წყალგამაცხელებელში ჩამონტაჟებული თბური ტუმბოს სიმძლავრის კოეფიციენტი ამ დროს  $4 \div 5$ -ის ფარგლებშია. წყალგამაცხე-ლებელს დამატებით უკეთდება ელექტროგამხურებელი, რომელიც იკვებება მზის ფოტოელემენტებში გამომუშავებული ელექტროენერგიით.

### 3. დასპბნა

1. ენერგოეფექტური მშენებლობა თანამედროვე სამოქალაქო მშენებლობის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა და გულისხმობს შენობებში ენერგორესურსების მინიმალური დანახარჯების გზით მაქსიმალური კომფორტის შექმნას, უზურუნველყოფს წიაღისეული საობობის წვის შედეგად გამოყოფილი მავნე გაზების კოლოსალურ შემცირებას და სათანადოდ გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2. შენობათა ენერგოეფექტურობის მიღწევა შესაძლებელია, როგორც შენობების შემომზღვდი კონსტრუქციების ობოფიზიკური მახასიათებლების გაუმჯობესებით, ასევე ამ შენობების ენერგოეფექტური საინჟინრო სისტემებით აღჭურვით.

3. შენობათა საინჟინრო სისტემებიდან თბური ენერგიის ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებელია ცხელი წყალმომარაგების სისტემა, ამიტომაც ამ სისტემებში თბური ენერგიის ეკონომიური ხარჯვა, წიაღისეული საობობის ჩანაცვლება განახლებადი ენერგიით და ცხელი წყალმომარაგების რაციონალური სქემების დამუშავება მნიშვნელოვნად გაზრდის შენობათა საერთო ენერგოეფექტურობას.

4. შენობებში მზის ენერგომომარაგების სისტემების და ცხელი წყლის ობური ტუმბოების გამოყენება გვაძლევს ცხელი წყალმომარაგების სისტემის ენერგოეფექტურობის გაზრდის და მავნე გამონაბოლქვების ნულამდე დაყვანის შესაძლებლობას.

### ლიტერატურა

- მ. გრძელიშვილი, ო. გიორგობიანი, ა. კოპალიანი. მზის ობომომარაგების სისტემები და მათი გამოყენების პერსპექტივები საქართველოში. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, სტუ, №4(35), 2014 წ.
- მ. გრძელიშვილი, ო. გიორგობიანი, ა. კოპალიანი. შენობათა ენერგომომარაგება განაწილებული გენერაციის ბაზაზე. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, სტუ, №4(27), 2012 წ., გვ. 129-135.
- Стибел Елтон - Рекомендации по подбору оборудования. Водонагреватели. 2016 г. 40 стр.
- СП 30.13330.2012. Внутренний водопровод и канализация зданий. Актуализированная редакция СниП 2.04.01-85.
- მ. გრძელიშვილი, ა. კოპალიანი, დ. კუჭუხიძე. კანალიზაციის ობური ტუმბოები და მათი გამოყენება ობომომარაგების სისტემებში. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „პიდროინჟინერია“, სტუ, 2017 წ.

შაგ 693.54

## გეტონის დეფორმაციის გამოკვლევა ჰოლობრაზიული ინჟინერული მეთოდი

გ. დალაქიშვილი, პ. ხაზალია, ც. გიორგაძე, ო. საჯაია, გ. თურმანიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის მხარდაჭერით საგრანტო პროექტ № FR-18-11671-ის ფარგლებში.

**რეზიუმე:** თანამედროვე კაშხალმშენებლობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბეტონის სამუშაოების ინტენსიუფიკაციას, რაც დამატებით მოთხოვნებს უზენებს პროექტანტებს ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტების (სექციები, ბლოკები) პარამეტრების (მოცულობის) გაზრდის თვალსაზრისით, გამსხვილებული ბლოკები ართულებს ბეტონის მასივის თერმორეგულირების პროცესს და ზრდის ტემპერატურული ბზარწარმოქნის რისკს. ამდენად, მნიშვნელოვანია ბეტონის გამყარების ადრეულ ხტადიაზე შეკლებისა და ბზარმედებობის პროცესის შესწავლა. გამოსაკვლევია ის ფაქტორები და დინამიკა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ბეტონის სამუშაოთა ტექნიკური პირობების შესაბუმავებლად და შემდგომში პრაქტიკაში დასახურებად, შეკლებისა და ბზარმედებობის პროცესის მინიმუმამდე დასაუკანად პოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდის გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** პოლოგრაფია, ინტერფერომეტრია, ბეტონი, ბზარმედებობა, ლაზერი, დეფორმაცია, დიაგნოსტიკა, შეკლება.

### 1. შესაბამისობა

ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა ბეტონისა და რ/ბეტონის თეორიის განვითარებისთვის. ეს განვითარება მიმდინარეობდა როგორც ბეტონისა და რ/ბეტონის კონსტრუქციების ხაზგრძლივ ზემოქმედებაზე გააჩვარიშების საიმედო მეთოდების

შემუშავების, ასევე შესაბამისი ექსპერიმენტული მონაცემების დიდი მოცულობით დაგროვების მიმართულებით. ეს უკანასკნელი საჭიროა როგორც საცნობარო მონაცემების უტყუარობის გასაზრდელად, ასევე ბეტონის შეკლებისა და ბზარმედეგობის მათემატიკური თეორიების შემდგომი განვითარებისათვის, რომლებიც აშკარაა, რომ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ ფენომენოლოგიურ ხასიათს.

## 2. პირითაღი ნაწილი

პოლოგრაფია არის ტალღების რეგისტრაციისა და შემდგომ აღდგენის მეთოდი, რომელიც 1948 წ. გამოიგონა ინგლისელმა მეცნიერმა დენის გაბორმა. ტერმინი პოლოგრაფია ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ მეცნიერს ჯორჯ სტროუკს, წარმოდგება ბერძნული სიტყვისგან და ნიშნავს „მთელს“, „სრულს“. პოლოგრაფიის მეშვეობით ხდება ტალღის სრული ინფორმაციის რეგისტრაცია.

პოლოგრამის მისაღებად საჭიროა სინათლის კოპერენტული წყარო. პირველი პოლოგრამის მიღებისას გაბორი იყენებდა ვერცხლისწყლის ნათურას, რომლის კოპერენტულობის ხარისხი მცირეა, ამიტომ პირველი პოლოგრამის ხარისხი დაბალი იყო, ხოლო პოლოგრაფია ითვლებოდა ეგზოტიკურ მეთოდად, რომელიც შორს იყო პრაქტიკული გამოყენებისაგან.

მხოლოდ სამოციანი წლების დასაწყისში, როდესაც გამოიგონეს სინათლის მაღალკოპერენტული წყარო ლაზერი, შესაძლებელი გახდა პოლოგრაფიის პრაქტიკული გამოყენება. ლაზერი (ოპტიკური კვანტური გენერატორი) წარმოადგენს ხელსაწყოს, რომელიც ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციას ახდენს სინათლის იძულებითი გამოსხივებით ან იძულებითი გაბნევით ოპტიკურ რეზონატორში არსებულ აქტიურ გარემოში. ლაზერის გამოსხივება წარმოადგენს მცირე გაშლის მქნე გარკვეული ტალღის სიგრძის, მაღალკოპერენტული სინათლის სხივს.

აღნიშნული გამოგონებისთვის ცნობილ მეცნიერებს ნ. ბასოვს და ა. პროხოროვს 1962 წელს მიენიჭათ ნობელის პრემია ფიზიკაში. ნობელის პრემია მიენიჭა აგრეთვე პოლოგრაფიის გამოგონებელ დ. გაბორს. 1970 წლიდან დაიწყო ახალი მიმართულების-ოპტიკური პოლოგრაფიის განვითარება მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის ყველა დარგში.

პოლოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მეცნიერ ი. დენის უკს, რომელმაც წარმოადგინა პოლოგრამების ჩაწერის სქემა შემხვედრ სხივებში მსხვილფენვან ემულსიაზე. პოლოგრამების რეგისტრაციის ასეთ სქემას ის უპირატესობა აქვს, რომ გამოსახულების აღდგენა და მისი დაკვირვება ხდება ჩვეულებრივ სინათლის წყაროთი, რაც პოლოგრაფიის მხატვრული გამოყენების საშუალებას იძლევა, ხოლო ამერიკელმა მეცნიერებმა ე. ლეიტმა და ი. უპატნიერესმა გამოიგონეს პოლოგრაფიორების ორსხივიანი სქემა. 1971 წელს ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორმა, შ. ყაფიჩაშვილმა ექსპერიმენტულად დაადასტურა ელექტრომაგნიტური გამოსხივების პოლარიზაციის რეგისტრაციის შესაძლებლობა, რითაც მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლოგრაფიის განვითარებაში. 1997 წელს მის მიერ ჩატარებული კვლევა აღიარებულ იქნა აღმოჩენად ოპტიკის დარგში (პირველი აღმოჩენა საქართველოში). დღეისათვის პოლოგრაფიის გამოყენების სპექტროსკოპიაში პოლოგრაფიის გამოყენებით შეიძლება გაიზომოს დიფუზიურად ამრეკლი მყარი სხეულების გადაადგილებები და დეფორმაციები, გამჭვირვალე ფაზური ობიექტების შესწავლა, თვალით უხილავი დეფექტების, მათ შორის პზარების ჩასახვა და მათი განვითარება რდგვევის პროცესის ჩათვლით უკონტაქტოდ.

პოლოგრაფიის ინტერფერომეტრიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ორექსპოზიციანი პოლოგრაფიული ინტერფერომეტრია. არსებობს ასევე პოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის სხვა მიმართულებებიც: ორი ექსპოზიციის მეთოდი, დროში გასაშუალების მეთოდი, სტრობოსკოპიული მეთოდი, აკუსტიკური და პოლარიზაციული პოლოგრაფია. აღნიშნული პროექტის შესრულების დროს გამოყენებული იქნება ორექსპოზიციური პოლოგრაფიული ინტერფერომეტრია.

კლასიკურთან შედარებით პოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის გამოყენების სფერო გაცილებით ფართოა, ის საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ სამგანზომილებიანი დიფუზიურად ამრეკლი ზედაპირები, ჰიდრო- და აეროდინამიკური პროცესები, ნაკადებში თერმოდინამიკური მოვლენები, სხვადასხვა თერმული პროცესები, აკუსტიკური ტალღების გავრცელება და მრავალი სხვა არასტაციონარული პროცესები, მათ შორის სხვადასხვა კომპოზიტური მასალების ხარისხის კონტროლი და დიაგნოსტიკა. რადგან პოლოგრამის საშუალებით ხდება სინათლის ტაზის რეგისტრაცია, ობიექტის მცირე გადაადგილებაც კი იწვევს ფაზის ცვლილებას და შესაბამისად ეს ცვლილება ფიქსირდება პოლოგრამაზე, აქედან გამომდინარე, პო-

ლოგრაფიული ინტერფერომეტრია საშუალებას იძლევა სხეულის ზედაპირის გადა-  
ადგილების მეშვეობით ვიანგარიშოთ დეფორმაციები, დაძაბულობები და ვიბრა-  
ციები უკონტაქტოდ.

ამ შემთხვევაში პოლოგრაფიული ინტერფერომეტრია გაცილებით უფრო ეფექ-  
ტურია, ვიდრე ისეთი მეთოდები, როგორიცაა მუარის ზოლების, პოლარიზაციულ-  
ოპტიკური მეთოდი და მეთოდები, რომლებიც ეყრდნობიან დეფორმაციებისა და  
გადაადგილების გაზომვას სხვადასხვა ტენზორეზისტორებით.

ორექსპონიციანი პოლოგრაფიული ინტერფეროგრამების მეთოდი უკანასკნელ  
სანს ფართოდ გამოიყენება მყარი სხეულების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომა-  
რეობის შესასწავლად. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პოლოგრამა  
ფოტოგრაფიულ დამუშავებამდე ორჯერ ექსპონირდება.


1977 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახ. სამშე-  
ნებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის „საშენი მასალების ოპტიკუ-  
რი მეთოდების კვლევის ლაბორატორიაში ჩატარდა ერთ-ერთი პირველი ექსპერი-  
მენტი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

პოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდით შეიძლება დავაკვირდეთ ერთდ-  
როულად ცემენტის შეკვრის პროცესს და სტრუქტურის ფორმირებას ადრეულ  
სტადიაზე, აგრეთვე ბზარის ჩასახვას, მის განვითარებას და დეფორმაციის ველს  
მისი წვეროს მახლობლად. გაზომვის სიზუსტე ამ მეთოდით ხარისხით მეტია (6328  
ნმ) და გვაძლევს საშუალებას, ვიზუალურად დავაკვირდეთ მიმდინარე პროცესებს.

ტენზომეტრიისგან განსხვავებით იგი არ საჭიროებს გამოსაკვლევი ზედაპირის  
წინასწარ დამუშავებას და მის ფიქსირებას ზედაპირზე, აგრეთვე შესაძლებელია  
შესწავლილ იქნეს ცემენტის ქვისა და ბეტონის შეკვრის პროცესის ტენიანი ზედა-  
პირი უკონტაქტოდ და მოხდეს მთლიანი პროცესის ვიზუალიზაცია, რის საშუა-  
ლებასაც არ იძლევა არც ერთი ზემოთ აღნიშნული მეთოდი.


პოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდი იმდენად გვაინტერესებს, რამ-  
დენადაც მისი საშუალებით შესაძლებელია ხარისხობრივად და რაოდენობრივად  
შევაფასოთ მყარი სხეულის დეფორმაციული მდგომარეობა და სხვადასხვა შედ-  
გენილობის ბეტონების შეკლების, ბზარწარმოქმნის და მისი განვითარების პროცე-  
სები. ეს მეთოდი მხოლოდ საშუალებაა ან იარაღი სასურველი მიზნების მისაღ-  
წევად. მისი არსია: პოლოგრაფიული ფირფიტა ფოტოგრაფიულ დამუშავებამდე ორ-  
ჯერ ექსპონირდება – პირველად, როცა გამოსაკვლევი ნიმუშის ზედაპირი საწყის

მდგომარეობაშია, მეორედ – როცა იგი დეფორმირებულია ან განიცდის რაიმე სხვა ზემოქმედებას.




ნახ. 1 – ლეიტის სქემა.  
პოლოგრამის ჩაწერის ორსხივიანი სქემა

პოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდი შესაბამისი ტექნოლოგიური მომენტების გათვალისწინებით საშუალებას იძლევა უწყვეტი მოქმედების ლაზერის (ჰელიუმ-ნეონი **ЛГИ-215**, სიმძლავრე – 55 მვტ) ტალღის სიგრძის რიგის (6328 ნმ) სიზუსტით გავზომოთ დეფორმირებული სხეულის გადაადგილების ვექტორის ველი.



ნახ. 2. დენისიუკის სქემა. გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების ექსპრიმენტებისათვის,  
სამუზეუმო ექსპონატების ჩაწერისა და ვიზუალიზაციისათვის თეთრ შუქზე:  
1 – ლაზერი; 2 – გამშლელი ლინზა; 3 – ფოტოფირი; 4 – ობიექტი

ეს თითქმის უნიკალური საშუალებაა, ერთდროულად დავაკვირდეთ დეფორმირების ერთიან სურათს გამოსაკვლევი ობიექტის მთელ რეგისტრირებულ ზედაპირზე და იმავე დროს, სურვილისამებრ, ნებისმიერ არჩეულ წერტილში გავზომოთ გადაადგილების ვექტორის სამივე კომპონენტი.



ნახ. 3. გადაადგილების გამოსათვლელი გეომეტრიული სქემა:

1 – დაკვირვების ობიექტი; 2 – პოლოგრამა; a, b, c – დაკვირვების პოზიციები,

$\Psi_1, \Psi_2, \Psi_3$  – დაკვირვების კუთხეები

როგორც აღვნიშნეთ, პოლოგრაფიული ინტერფერომეტრის მეთოდით ბეტონის სტრუქტურაში მიმდინარე პროცესების სივრცული აღქმა და კონსტრუქციული ელემენტის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის დინამიკის ფოტოგრაფიული ასახვა საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ბეტონს მისი სტრუქტურის ფორმირების ადრეულ სტადიაზე, რაზეც არის დამოკიდებული ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ხანგამძლეობა. კვლევა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, შემუშავდეს ის ლონისძიებები, რომლებიც გაანეიტრალებს პროცესის განვითარებას; მეორე მხრივ, დააზუსტებს ნაკერ-ნაჭდევის იმ პარამეტრებს, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზებულ ბზარწარმოქმნის პროცესს, მისი უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანის გათვალისწინებით, რაც უმნიშვნელოვანესი პროცესია, პიდროტექნიკურ და განსაკუთრებით კაშხალმშენებლობაში.

პოლოგრაფიული ინტერფეროგრამის ჩაწერა ხორციელდება შემდეგი მეთოდით: პოლოგრაფიულ ფოტოფირზე პირველი ექსპონირებით ხდება შესასწავლი ობიექტის რეგისტრაცია საწყის მდგომარეობაში, შემდეგ იგივე ფოტოფირზე ის ექსპონირდება მეორედ და ობიექტი განიცდის დეფორმაციას. ამის შემდეგ ექსპონირებული ფოტოფირის სათანადო ფოტოგრაფიული დამუშავებით ვიღებთ ინტერფეროგრამას. ფოტოფირზე პოლოგრაფიული ინტერფეროგრამების მიღება წარმოებს ლეიტისა და დენისიუგის სქემების მიხედვით.

### 3. დასპანა

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ბეტონის დეფორმირებისა და რდვევის პროცესის შემდგომი კომპლექსების შესწავლა მეცნიერებისა და

ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენებით, რის შესაძლებლობასაც გვაძლევს პოლოგრაფიული მეთოდები, კერძოდ, პოლოგრაფიული ინტერფერომეტრია. აღნიშნული მეთოდი მომავალში ხელს შეუწყობს ისეთი სამშენებლო მასალის კონსტრუქციების საიმედოობასა და ხანმედეგობას, როგორიცაა ბეტონი და დატკეპნილი ბეტონი, რომლებიც გამოიყენება პიდროტექნიკურ მშენებლობაში, დიდად წაადგება ამ სფეროში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს და გაზრდის კონსტრუქციების საიმედოობასა და ხანგამძლეობას.

პოლოგრაფიული ინტერფეროგრამის საშუალებით უკონტაქტოდ შესაძლებელია მივიღოთ როგორც დეფორმაციის ხარისხობრივი სურათი, ასევე სხეულის ნებისმიერ წერტილში გადაადგილების ვექტორის რიცხობრივი. აღნიშნული პროექტი შესრულდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ინსტიტუტის „ინფორმაციის პოლოგრაფიული ჩაწერისა და დამუშავების ლაბორატორიასთან.“ საგრანტო ნაშრომის კვლევებზე გათვალისწინებულია სამი წელი და დასრულდება 2021 წელს.

## ლიტერატურა

1. Цилосани З.Н. Усадка и ползучесть бетона. Тбилиси: Мецниереба, 1979.
2. В.Рамазандран, Р.Фельман, Дж.Бодуен. Наука о бетоне, Москва: Стройиздат, 1986г.
3. Коллакот. Диагностика повреждений. М.:Мир. 1989.
4. Зайцев Ю.В. Механика разрушения для строителей. М.:Высшая Школа. 1991.
5. Concrete Shrinkage Deformation Research Holographic Interferometry Method. Dalakishvili G.L., Kakichashvili Sh.d., Tzilosani Z.N., International Conference on Optical Compoting in Research and Development. Visegrad, 4-9 october, 1977.
